საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 13 მაისი, 1952 წ. № 112 (9272). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში

ბოლშევიკურად შევარჩიოთ, გავანაწილოთ და აღვზარდოთ კადრები — მოწინავე (1-ლი გვერდი).

სამი ქალაქის სოციალისტური შეჯიბრება (1-ლი გვერდი).

მეავტომობილენი შეუდგნენ თვითდასაცლელი მანქანების გამოშვებას (1-ლი გვერდი).

ჩქაროსნული საჭრისებით მუშაობის ჩემი გამოცდილება (1-ლი გვერდი).

გერმანიის და მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებისათვის—„პრავდის“ 11-V მოწინავე (მე-2 გვერდი).

ბიუროკრატიული, ნაცნობ-მეგობრობის პრინციპით ხელმძღვანელობის შედეგები (მე-3 გვერდი).

უზრუნველვყოთ [illegible] და მშენებლობა [illegible] (მე-3 გვერდი).

ჩვენ გვწერენ — [illegible] სქურს (მე-3 გვერდი).

მ. აფონინი — საერთაშორისო მიმოხილვა (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# ბოლშევიკურად შევარჩიოთ, გავანაწილოთ და აღვზარდოთ კადრები

პარტიის პოლიტიკური ხაზის სწორად გატარების ბედს კადრები წყვეტენ. ამიტომ კადრების შერჩევისა და განაწილების, მათი აღზრდისა და მუშაობის პროცესში შემოწმების დროს ლენინურ-სტალინური პრინციპის მტკიცედ დაცვა ჩვენი პარტიის განმტკიცების, ბოლშევიკური ხელმძღვანელობის დონის ამაღლების, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში წარმატებათა მოპოვების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

კადრების სწორად შერჩევა და განაწილება, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, **„ნიშნავს, რომ შევარჩიოთ მუშაკები, ჯერ-ერთი, პოლიტიკური ნიშნის მიხედვით, ე. ი. ღირსი არიან თუ არა ისინი პოლიტიკური ნდობისა და, მეორე, საქმიანი ნიშნის მიხედვით, ე. ი. გამოსადეგი არიან თუ არა ისინი ამადაამ კონკრეტული მუშაობისათვის“.**

ლენინ-სტალინის პარტია უდიდეს მუშაობას ეწევა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის. ამ მუშაობის მეოხებით ჩვენში გამოიზარდნენ ბოლშევიკ ხელმძღვანელთა მრავალრიცხოვანი კადრები — მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის შესანიშნავი მეთაურები, რომლებიც წარმატებით უძღვებიან საქმეს. კადრების აღზრდის, შერჩევისა და განაწილებისათვის პარტიის შეუნელებელი მუშაობის შედეგები თავის გამოხატულებას პოულობენ სოციალისტური მშენებლობის უდიდეს გამარჯვებებში.

კადრების შერჩევისა და განაწილების დროს ლენინურ-სტალინური პრინციპის დავიწყება საფრთხეს უქმნის პარტიის პოლიტიკური ხაზის განხორციელებას, აქვეითებს ბოლშევიკური ხელმძღვანელობის დონეს, აჩლუნგებს ჩვენი წინსვლის ბასრ იარაღს — კრიტიკასა და თვითკრიტიკას, იწვევს სერიოზულ ნაკლოვანებებს, დამახინჯებებს, პოლიტიკურ შეცდომებსა და ჩავარდნებს მუშაობაში.

როგორც ცნობილია, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა ხელმძღვანელებმა სავსებით დაივიწყეს ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ლენინურ-სტალინური პრინციპი. მათი უდარდელობა, ობივატელური გულდამშვიდება, პოლიტიკური სიბრმავე იქამდე მივიდა, რომ კადრების შერჩევისა და განაწილების უაღრესად პასუხსაგები საქმე მინდობილი ჰქონდათ პარტიისა და ქართველი ხალხისადმი მტრულად განწყობილ ადამიანებს, რომლებიც ამას თავიანთი დანაშაულებრივი მიზნებისათვის იყენებდნენ. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილ ხელმძღვანელთა მანკიერი სტილი გამოხატულებას პოულობდა პარტიის საქალაქო, რაიონული და პირველადი ორგანიზაციების მუშაობაში. ადგილი ჰქონდა უვარგის მუშაკთა ერთი პასუხსაგები ადგილიდან მეორე ადგილზე დაუსრულებელ გადაყვან-გადმოყვანას, აღმაშფოთებლად ირღვეოდა კადრების შერჩევისა და განაწილების ბოლშევიკური პრინციპი. ხშირად მუშაკთა შერჩევა ხდებოდა არა ობიექტური ნიშნების მიხედვით, არამედ მეგობრობის, კეთილგანწყობილების, ნაცნობობის ნიშნების მიხედვით. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ბევრგან ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე მოხვდნენ საქმისათვის შეუფერებელი, უღირსი, მტრულად განწყობილი ადამიანებიც კი. ამის ნათელსაყოფად მრავალი ფაქტის დასახელება შეიძლება.

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება ვრცელი წერილი ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის, მეტალურგიული ქარხნისა და მისი ხელმძღვანელების მუშაობაზე. წერილში მთელ რიგ აღმაშფოთებელ ფაქტებთან ერთად მხილებულია ტრესტის უფროსის ნ. გიორგაძისა და პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ყოფილი მდივნის ამხ. გ. ზედგინიძის არაბოლშევიკური, დანაშაულებრივი დამოკიდებულება კადრების შერჩევისა და განაწილების საქმისადმი. ამხ. ნ. გიორგაძემ და ამხ. გ. ზედგინიძემ, დაივიწყეს რა ბოლშევიკური ხელმძღვანელობის, კადრების შერჩევისა და განაწილების ლენინურ-სტალინური პრინციპი, ხელი მიჰყვეს ადამიანთა დაწინაურებას ნაცნობ-მეგობრობის ნიშნის მიხედვით, პასუხსაგებ თანამდებობებზე ნიშნავდნენ უღირსებს, ისეთ პირებს, რომლებიც სამსახურებრივ მდგომარეობას იყენებენ გამორჩენისა და პირადი გამდიდრების მიზნით, ფლანგავენ და ითვისებენ სახელმწიფო თანხებს.

საქართველოს კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომის ყოფილი მდივნები კადრებს არჩევდნენ არა მათი პოლიტიკური და საქმიანი ნიშნის მიხედვით, არამედ პირადი ნაცნობობითა და კეთილგანწყობილებით. მიმართავდნენ რა შიშველ ადმინისტრირებას, ხშირად ისინი აიძულებდნენ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებად აერჩიათ საეჭვო და ნასამართლევი პირები, ზოგჯერ აშკარად მფარველობდნენ საკოლმეურნეო წესდების დამრღვევთ, სოციალისტური საკუთრების გამნიავებელთ. კადრების შერჩევისა და განაწილების ბოლშევიკური პრინციპი ირღვეოდა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და მთელ რიგ სხვა საქალაქო და რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში. ეს ნაკლოვანებანი უსწრაფესად უნდა გამოასწორონ ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო სამუშაოზე საჭიროა დავაწინაუროთ უნარიანი, პატიოსანი, პრინციპული, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული ადამიანები, ისეთი ადამიანები, რომლებიც პირად ინტერესებზე მაღლა ყოველთვის პარტიულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს აყენებენ, ვერ ურიგდებიან ნაკლოვანებებს, უნარი შესწევთ სწორად განახორციელონ პარტიის პოლიტიკური ხაზი.

კადრებთან მუშაობა მათი შერჩევითა და განაწილებით როდი მთავრდება. საჭიროა დაწინაურებულებთან სისტემატური მუშაობა, მათი შემოწმება პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში, განუწყვეტელი ზრუნვა მათი ზრდისათვის, პოლიტიკური გამოწრთობისათვის, მათ მიერ ხელმძღვანელობის ხელოვნების დაუფლებისათვის.

პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო კადრებს, რომლებსაც დაკისრებული აქვთ სხვების ხელმძღვანელობა, მოეთხოვებათ პირველ რიგში თვითონვე იყვნენ პოლიტიკურად ფხიზელნი, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელნი, პატივს სცემდნენ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, ყველგან და ყოველთვის მცირესა თუ დიდ საქმეში იჩენდნენ ბოლშევიკურ პრინციპულობას, მომთხოვნელობას საკუთარი თავისადმი, იძლეოდნენ ბოლშევიკური თავმდაბლობის, დისციპლინის მაგალითებს, რასაც, სამწუხაროდ, ხშირად ვერ იჩენს ზოგიერთი მუშაკი.

ამ მხრივ დამახასიათებელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგის ამხ. ლ. გორგილაძის მოქმედება. ამას წინათ იგი გამოძახებული იყო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და უმაღლესი სკოლების განყოფილებაში თათბირზე. ამხ. გორგილაძე არ დაესწრო ამ თათბირს და არც აცნობა განყოფილებას დაუსწრებლობის მიზეზი. კომუნისტისათვის ამ შეუფერებელი, უდისციპლინო საქციელის გამო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამხ. ლ. გორგილაძეს გამოუცხადა საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ დისციპლინა სავალდებულოა ყველასათვის, რომ პარტია ერთნაირად მომთხოვნელია თავისი წევრებისადმი — რიგითი იქნებიან ისინი თუ ხელმძღვანელები, მით უმეტეს მეტი მოეთხოვება იმას, ვისაც სხვების აღზრდა-ხელმძღვანელობა აქვს დაკისრებული.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის აპრილის პლენუმმა, რომელმაც გამოააშკარავა სერიოზული შეცდომები და ნაკლოვანებანი პარტიულ-ორგანიზაციულ და პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობაში, საქართველოს პარტიული ორგანიზაციების წინაშე პასუხსაგები ამოცანები დააყენა. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელების პოლიტიკური სიბრმავის, უდარდელობის და ობივატელური თვითდამშვიდების შედეგად დაშვებული შეცდომებისა და ჩავარდნების უსწრაფესად გამოსწორება დიდად არის დამოკიდებული კადრებთან მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაზე, მათი შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში ბოლშევიკური წესრიგის დამყარებაზე, რაც პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი რიგის ამოცანაა.

15 მაისს, დღის 12 საათზე რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში გაიხსნება

**საქართველოს კომკავშირის XIX ყრილობა**

ყრილობის დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის შენობაში (ძერჟინსკის ქ. № 8) 13 და 14 მაისს დილის 10 საათიდან 24 საათამდე.

ტელეფონი № 3-66-33.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

# სამი ქალაქის სოციალისტური შეჯიბრება

რამდენიმე წელია, რაც მოძმე რესპუბლიკების — სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მეორე სამრეწველო ცენტრების ლენინაკანის, კიროვაბადისა და ქუთაისის მშრომელებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება საწარმოო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამ შესანიშნავი შეჯიბრების შედეგად კიდევ უფრო განმტკიცდა ამიერკავკასიის ხალხთა ძმური კავშირი და მეგობრობა.

ლენინაკანის, კიროვაბადისა და ქუთაისის საწარმოთა მოწინავე სტახანოველები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მდიდარ საწარმოო გამოცდილებას. ლენინაკანის საფეიქრო კომბინატის სტახანოველმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ელენე ლიხაჩევამ პატრიოტული წერილით მიმართა ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის ფეიქრებს. ამხ. ე. ლიხაჩევა ქუთაისელ მეგობრებს წერს:

„ჩამორჩენილი ამხანაგებისადმი დახმარებამ, ჩემი მუშაობის მეთოდების გაცნობამ ნათელყო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ღონისძიებას ჩამორჩენის ლიკვიდაციისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. ჩვენი საწარმოს ჩამორჩენილი მუშები, რომლებსაც ჩემი მუშაობის მეთოდები გავუზიარე, დაწინაურდნენ და ახლა სტახანოველები არიან“.

ლენინაკანელი წარჩინებული ფეიქრის მაგალითს ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში. სტახანოველმა მქსოველებმა ბ. ნიკოლეიშვილმა, მ. კუტივაძემ, ე. ჯიმშელეიშვილმა, ც. კახიძემ გულისხმიერი და სისტემატური დახმარებით თვითეულმა ორი-სამი ჩამორჩენილი მუშა დააწინაურა. ამ ღონისძიების შედეგად კომბინატში სულ ორასზე მეტმა ფეიქარმა გამოასწორა ჩამორჩენა და მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

ზეგეგმითი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის ერთმანეთს წარმატებით ეჯიბრებიან ქუთაისის კიროვის სახელობისა და კიროვაბადის სამკერვალო ფაბრიკების სტახანოველი მკერავები მარგარიტა ჯავახაძე და კამირ შაფიევა. ისინი ხშირად უგზავნიან ურთიერთს მეგობრული გრძნობით გამთბარ წერილებს და გულდასმით ეცნობიან ერთმანეთის საწარმოო გამოცდილებას.

წელს სამი ქალაქის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება ახალი ძალით გაჩაღდა. დამახასიათებელია, რომ გასულ წლებში ამ შეჯიბრებაში უშუალოდ საწარმოთა კოლექტივები მონაწილეობდნენ, ამჟამად კი ეს პატრიოტული მოძრაობა უფრო გაფართოვდა და საწარმოებთან ერთად მასში ცალკეული ბრიგადები და სტახანოველებიც ჩაებნენ. მაგალითად, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის ფეიქართა ბრიგადა, რომელსაც გ. კუტივაძე ხელმძღვანელობს, ეჯიბრება კიროვაბადის საფეიქრო კომბინატის ფეიქართა ბრიგადას, რომელსაც ნ. ზიანანოვი ხელმძღვანელობს. კომბინატის მექანიკურმა საამქრომ შეჯიბრებაში გამოიწვია კიროვაბადისა და ლენინაკანის საფეიქრო კომბინატების მექანიკურ საამქროთა კოლექტივები. რკინიგზის ქუთაისის ვაგონების ტექნიკური გასინჯვის პუნქტი ეჯიბრება კიროვაბადის სავაგონო დეპოს ტექნიკური გასინჯვის პუნქტს.

ხალხთა სტალინური მეგობრობის საფუძველზე სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ გაიშალა აგრეთვე ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკისა და ლენინაკანის წინდა ტრიკოტაჟის ფაბრიკის კოლექტივებს შორის.

ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სამი ქალაქის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება, შემდგომ განვამტკიცოთ ძმური კავშირი და მეგობრობა ამიერკავკასიის ხალხთა შორის. **(„სტალინელი“).**

# გორელ და ხერსონელ მეკონსერვეთა მეგობრობა

**გორი.** (საკ. კორ.). წლითიწლობით მტკიცდება მეგობრობა საქართველოს და უკრაინის მშრომელთა შორის. ამას ხელს უწყობს ორ მოძმე რესპუბლიკის ხალხებს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება. წელს მჭიდრო კავშირი დამყარდა გორელ და ხერსონელ მეკონსერვეთა შორის.

გორელმა მეკონსერვეებმა წარმატებებს მიაღწიეს საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების საქმეში. მათ გადაწყვიტეს წერილით მიმართონ ქ. ხერსონის 8 მარტის სახელობის საკონსერვო ქარხნის კოლექტივს სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

ამას წინათ ქარხნის კოლექტივმა წერილი მისწერა ხერსონელ მეკონსერვეებს. წერილში აღნიშნულია, თუ როგორ მოიპოვა გორის საკონსერვო ქარხანამ მაღალი ხარისხის პროდუქციის გამომშვები საწარმოს წოდება და საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა. გორელი მეკონსერვეები კისრულობენ წლიური გეგმა შეასრულონ ვადაზე 10 დღით ადრე და გეგმის გადამეტებით გამოუშვან 500 ათასი ქილა კონსერვი. ამასთან მათ იკისრეს 10 დღით ადრე დაამთავრონ ქარხნის რემონტი და მომზადებული შეხვდნენ სეზონს, გაზარდონ შრომის ნაყოფიერება 1,5 პროცენტით, ხოლო უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვება — 1 პროცენტით, მისცენ სამშობლოს ზეგეგმითი დაგროვება 300 ათასი მანეთი.

ხერსონელმა მეკონსერვეებმა სიხარულით მიიღეს გორელთა გამოწვევა და თავის მხრივ იკისრეს: წლიური გეგმა შეასრულონ 5 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით გამოუშვან 800 ათასი ქილა კონსერვი, სამშობლოს მისცენ 500 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

# მეავტომობილენი შეუდგნენ თვითდასაცლელი მანქანების გამოშვებას

**ქუთაისი.** (საკ. კორ.). საავტომობილო ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსთა და სტახანოველთა კოლექტივმა მაღალნაყოფიერი და ენერგიული შრომით წარმატებით აითვისა ავტომანქანის კიდევ ერთი ახალი მარკის — „კაზ-585-ბ“-ს გამოშვება.

ისეთი რთული ავტომანქანების 3 თვეში ათვისება, როგორიც თვითდასაცლელი საბარგულებია, მეავტომობილეთა თვალსაჩინო გამარჯვებაა. ქარხნის საამქროებში განუწყვეტლივ წარმოებდა მუშაობა თვითდასაცლელის ცილინდრების მთელი კვანძის, ამწევი მექანიზმების, კონუსური საცობების და მანქანის სხვა შემადგენელი ნაწილების ასათვისებლად.

მთელ კოლექტივთან ერთად ახალი მარკის ავტომობილების გამოშვების საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი ინჟინრებმა ა. მიქანარაშვილმა, გ. ქარუმოვმა, ოსტატებმა ე. კოხრეიძემ, ბ. ბოჭორიშვილმა, გ. ბუზიაშვილმა, ზეინკლებმა გ. ჭელიძემ, გ. ადამიამ, დ. ბენიძემ, გ. გორდაძემ და სხვებმა.

ახლადათვისებული საბარგულების პირველი პარტია ამ დღეებში გაეგზავნება კომუნიზმის დიად მშენებლობებს.

# აგარელი მექანიზატორების წარმატება

**აგარა.** (საკ. კორ). აგარის მტს-ის კოლექტივი (დირექტორი ა. ბარბაქაძე, მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში გ. დარსაძე), რომელიც ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში ხაშურის მტს-თან, წარმატებით ანაღდებს ნაკისრ ვალდებულებებს.

აგარელმა მექანიზატორებმა ნახევარი წლის დავალება (რბილ ხვნაზე გადაყვანით) ჯერ კიდევ აპრილში 102,3 პროცენტით გაანაღდეს. ნაცვლად 6.364 ჰექტარისა საგაზაფხულო სამუშაოები შეასრულეს 6.515 ჰექტარზე. აქედან შაქრის ჭარხალი დათესილია 321 ჰექტარი, სიმინდი — 1.528 ჰექტარი და სხვ.

საგაზაფხულო სამუშაოების წარმატებით შესრულების საქმეში განსაკუთრებით დაწინაურდა № 3 სატრაქტორო ბრიგადა (ბრიგადირი დ. ზუბაშვილი), რომელსაც ნახევარი წლის დავალება შესრულებული აქვს 130 პროცენტით. ასევე კარგ წარმატებებს მიაღწიეს ა. ტიტვინიძისა და ა. გეგელაშვილის ბრიგადებმა.

მტს-ის მოწინავე ტრაქტორისტები ვ. ოსაძე, გ. და ვ. ტიტვინიძეები და ბ. ნაკაშიძე ყოველდღიურ დავალებებს 140-150 პროცენტით ასრულებენ.



სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მოწინავე სტახანოველი, ჩქაროსანი ხარატი ილია ჭუმბურიძე.

# ჩქაროსნული საჭრისებით მუშაობის ჩემი გამოცდილება

ილია ჭუმბურიძე

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში ლითონის ჩქაროსნული დამუშავების მეთოდი პირველად ამ სამი წლის წინათ დაინერგა.

ჯერ კიდევ 1949 წელს მე გულდასმით გავეცანი სახელოვანი ნოვატორი ხარატების პ. ბიკოვისა და გ. ბორტკევიჩის ჩქაროსნული ჭრის მეთოდს და წარმატებით ავითვისე იგი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა თბილისის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა დახმარებით ყურადღებით შევისწავლე ყველა სახის ზესალი შენადნობი და საჭრისების ალესვის არსებული მეთოდები.

**ამის შედეგად ახლა ჩემი სახარატო დაზგა უმთავრესად მაქსიმალურ სიჩქარეებზე მუშაობს. ლითონის დამუშავების ჩემ მიერ მიღწეული სიჩქარე ამჟამად ათჯერ მეტია იმ სიჩქარეზე, რომლითაც მე წინათ ვმუშაობდი.**

ლითონის ჩქაროსნული მეთოდით დამუშავებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს: სამუშაო დროის მაქსიმალურ შემჭიდროებასა და დაზგის სრული სიმძლავრით გამოყენებას, მაღალ საწარმოო კულტურას, წესრიგსა და საზრიანობას მუშაობაში. ჭრის სიჩქარის გადიდების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს გაუმჯობესებული საჭრისებითა და დამხმარე სამარჯვებით მუშაობა, აგრეთვე სხვადასხვა საწარმოო ოპერაციების ურთიერთ შეთავსება და ამით დამხმარე დროის მინიმუმამდე შემცირება.

ჩვენს სახარატო-მექანიკურ საამქროში სხვადასხვა დანიშნულებისა და სახის რამდენიმე ათასი დეტალი მუშავდება. აქედან სულ ცოტა 60-მდე სახის დეტალს მარტო მე ვამუშავებ. მათ შორის ბევრი მეტად რთული კონფიგურაციისა არის, რომელთა გამოხარატება დიდ დახელოვნებასა და შემოქმედებითს შრომას მოითხოვს. ამ სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ხელსაწყო-იარაღების დროზე მომარაგებას, მათ სრულყოფას.

მუდამ მზად მაქვს 50 ცალი სპეციალური საჭრისი და 14-მდე დამხმარე სამარჯვი. ამასთან ბევრი საჭრისი თვით ჩემს მიერ არის გაუმჯობესებული. მაგალითად, ამას წინათ წამოვაყენე წინადადება ორთქლმავლის სადუღებელი მილის საცობის ორმხრივი საჭრისით დამუშავების შესახებ. ეს წინადადება საამქროს რაციონალიზატორთა ბრიგადამ ტექნოლოგ რ. მაღრაძის ხელმძღვანელობით სამ დღეში განახორციელა და დანერგა წარმოებაში. გაუმჯობესებული საჭრისით მუშაობის პირობებში ახლა ცვლაში 11-ის ნაცვლად 16 ცალ აღნიშნული სახის დეტალს ვამზადებ, ამასთან მუშაობაში სავსებით აღმოფხვრილი მაქვს წუნი.

ჩქაროსნულ ჭრაზე გადასვლის პირველ ხანებში დადებითი კუთხის ზესალი შენადნობის საჭრისს ვიყენებდი. მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ასეთი საჭრისები დიდი სიჩქარისას დატვირთვას ვერ უძლებენ, რის გამო ირღვევა მათი მჭრელი წახნაგი. შემდეგში დეტალების დასამუშავებლად მე გამოვიყენე ისეთი საჭრისი, რომელსაც ორმაგი წინაკუთხე აქვს. ამ ორიგინალურმა უარყოფით-წინაკუთხიანმა საჭრისმა შესაძლებლობა მომცა განვავითარო ჭრის დიდი სიჩქარე ისე, რომ მისი მჭრელი წახნაგის გადაწვის შიში არ მქონდეს.

**დაზგის მოდერნიზაციით, ჩქაროსნული საჭრისებისა და სპეციალური სამარჯვების გამოყენებით შესანიშნავი შედეგები მივიღე: თუ წინათ ცვლაში ორთქლმავლის მკვეთარას ერთ ბადროს ვამზადებდი, ახლა სამს ვამზადებ; თუ წინათ რვა საათში ორთქლმავლის სადუღებელი მილის ერთი საცობის სახარატო დამუშავებას ვასწრებდი, ახლა 7 ცალის დამუშავებას ვასწრებ.**

ჩვენს ქარხანაში პირველად მე დავიწყე ორთქლმავლის დეტალების ოპერაციათა მიხედვით დამუშავება. ჩემი მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ ორთქლმავლის სვლის შემცვლელი ხრახნის ქანჩის დამუშავება თანმიმდევრულად წარმოებს — ჯერ სრულდება აგლეჯის, ხოლო შემდეგ სუფთა გამოხარატების ოპერაცია დეტალის დაზგიდან ჩამოუხსნელად. **ამ მეთოდით მუშაობა საგრძნობლად ამცირებს დამხმარე დროს და 2-2,5-ჯერ ზრდის შრომის ნაყოფიერებას.**

მნიშვნელოვნად გავაუმჯობესე ორთქლმავლის დგუშის საქონის საყრდენი რგოლის დამუშავების ტექნოლოგია. ამ ტექნოლოგიური გაუმჯობესების შედეგად ახლა ერთი ცალის ნაცვლად ერთდროულად ცხრა ცალი მაღალხარისხოვანი რგოლი მზადდება, რითაც თვითეული რგოლის თვითღირებულება 2,5 მანეთით შემცირდა. ლითონის ჩქაროსნული ჭრის მეთოდით დამუშავების შედეგად მნიშვნელოვნად გაიაფდა სხვა დეტალების თვითღირებულებაც. მაგალითად, ორთქლმავლის სვლის შემცვლელი ხრახნის თვითღირებულება შემცირდა 20 მანეთით, მკვეთარას ბადროსი—7,2 მანეთით, სადუღებელი მილის საცობისა—18,3 მანეთით და ასე შემდეგ.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ შესანიშნავ მიღწევას წარმოადგენს ჩქაროსნული საჭრისების ახალი სახის—მინერალ-კერამიკული საჭრისების შექმნა. აღნიშნული საჭრისების ფართოდ დანერგვა წარმოებაში კიდევ უფრო სწრაფი ნაბიჯით წასწევს წინ ლითონის დამუშავების ტექნიკას.

ჩქაროსნული საჭრისებით მუშაობის დროს შრომის მაღალ ნაყოფიერებას ვაღწევ. ომის შემდეგ განვლილ ექვს წელიწადში 19,6 წლიური ნორმა გავანაღდე. მიმდინარე წლის გასულ ოთხ თვეში უკვე მთელი წლის საწარმოო დავალება შევასრულე. მაგრამ მიღწეულით არ დავკმაყოფილდები. ჩემს ძალასა და უნარს არ დავიშურებ ახალ წარმატებათა მისაღწევად, საყვარელი საბჭოთა სამშობლოს სადიდებლად.

# გერმანიის და მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებისათვის

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა, მთელი გერმანიის მშვიდობისმოყვარე ადამიანებმა ჰიტლერული ფაშიზმისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების მეშვიდე წლისთავი აღნიშნეს როგორც თავიანთი ეროვნული დღესასწაული. განთავისუფლების დღე მათ აღნიშნეს ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების უსწრაფესი დადებისათვის ბრძოლის გაძლიერებით.

გერმანიის ერთიანობისათვის, გათიშვის წინააღმდეგ ბრძოლის დროშამ გააერთიანა გერმანელი ხალხის უფართოესი ფენები. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის სახალხო მოძრაობაში მონაწილეობას იღებენ მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციის ფართო ფენები, ყველა გერმანელი მოქალაქე, გერმანიის პატრიოტები. ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის გერმანელი ხალხის ბრძოლა საბჭოთა კავშირის ხალხების, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის სიმპათიითა და მხარდაჭერით სარგებლობს.

9 მაისს „პრავდაში" გამოქვეყნდა წერილები, რომლებიც ერთმანეთს გაუგზავნეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვ. პიკმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. მ. შვერნიკმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ო. გროტევოლმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა ფაშისტური ტირანიისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების მეშვიდე წლისთავის გამო.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის საპასუხო წერილში ამხანაგ ო. გროტევოლისადმი ნათქვამია:

**„გთხოვთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და პირადად თქვენ, ამხანაგო პრემიერ-მინისტრო, მიიღოთ ჩემი მადლობა მეგობრული წერილისათვის ფაშისტური ტირანიისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების მეშვიდე წლისთავის გამო.**

**ვუსურვებ გერმანელ ხალხსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას წარმატებებს ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის, საზავო ხელშეკრულების უსწრაფესი დადებისა და გერმანიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანისათვის ბრძოლაში — გერმანიის და მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებისათვის".**

ამხანაგ სტალინის მისალმებაში კვლავ მკაფიოდ გამოხატულია მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა საბჭოთა კავშირისა, რომელიც თანმიმდევრულად იბრძვის გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების უსწრაფესი დადებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

გერმანიასთან ომის დამთავრებიდან შვიდმა წელმა განვლო, ხოლო გერმანიას ჯერ კიდევ არა აქვს საზავო ხელშეკრულება, იგი გათიშულია, კვლავ არათანასწორუფლებიან მდგომარეობაშია სხვა სახელმწიფოებთან შედარებით. თუ გერმანიასთან რაც შეიძლება მალე არ დაიდო საზავო ხელშეკრულება, არ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანი დამოკიდებულება გერმანელი ხალხის კანონიერი ეროვნული ინტერესებისადმი. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისათვის. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება ხელს შეუწყობს მთლიანად საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებას და ამით ხელს შეუწყობს მტკიცე მშვიდობის დამყარებას.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების დაჩქარების საჭიროება ნაკარნახევია იმით, რომ აღმოფხვრილი არ არის საფრთხე—აღდგენილ იქნას გერმანიის მილიტარიზმი, რომელმაც ორჯერ გააჩაღა მსოფლიო ომი, რადგან ჯერ კიდევ შეუსრულებელია პოტსდამის კონფერენციის სათანადო დადგენილებანი.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებამ უნდა უზრუნველყოს გერმანელი ხალხის ეროვნული ინტერესები, აღმოფხვრას გერმანული მილიტარიზმისა და გერმანიის აგრესიის აღორძინების შესაძლებლობა. მან გერმანელი ხალხისათვის უნდა შექმნას მშვიდობის მტკიცე პირობები, ხელი შეუწყოს გერმანიის, როგორც ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს განვითარებას, მისცეს გერმანელ ხალხს სხვა ხალხებთან მშვიდობიანი თანამშრომლობის შესაძლებლობა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ო. გროტევოლის წერილში ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი ნათქვამია:

„გერმანელ ხალხს არა სურს ომი! გერმანელ ხალხს სურს იცხოვროს ერთიან, მშვიდობისმოყვარე, დამოუკიდებელ და დემოკრატიულ სახელმწიფოში როგორც მშვიდობისმოყვარე ხალხთა ოჯახის სრულუფლებიანმა წევრმა. გერმანელი ხალხის პატრიოტულ და მშვიდობისმოყვარე ძალებს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებს შეგნებული აქვთ თავიანთი დიდი პასუხისმგებლობა ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისა და შენარჩუნებისათვის. ისინი პირობას გაძლევენ თქვენ, პატივცემულო ამხანაგო სტალინ, რომ კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლებენ მშვიდობის შენარჩუნებისათვის".

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დაუყოვნებელი დადება მოითხოვს სასწრაფო ღონისძიებათა მიღებას გერმანიის გასაერთიანებლად და სრულიად გერმანიის მთავრობის შესაქმნელად, რომელიც გერმანელი ხალხის ნებას გამოხატავს.

საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დაუყოვნებლივ განხილვას, აგრეთვე გერმანიის გაერთიანებისა და სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის საკითხის განხილვას. საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ერთიან, დამოუკიდებელ, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიულ გერმანიას, იგი გერმანიის გათიშვის წინააღმდეგია, იმის წინააღმდეგია, რომ დასავლეთ გერმანია გადააქციონ იმპერიალისტური აგრესიის ბაზად ევროპაში. საბჭოთა კავშირის პოზიცია გერმანიის საკითხში მტკიცედ შეესაბამება პოტსდამის შეთანხმებას, რომელსაც ხელს აწერენ დიდი სახელმწიფოები, და შეესაბამება ყველა ხალხის ნებას, რომლებიც დაინტერესებული არიან ევროპაში ომის საფრთხის აღკვეთით.

ამერიკული გაზეთების რედაქტორთა ჯგუფის კითხვებზე ამხანაგ სტალინის პასუხში, რომელიც ამას წინათ გამოქვეყნდა, კვლავ ხაზგასმით არის აღნიშნული გერმანიის უსწრაფესი გაერთიანების დიდი მნიშვნელობა. კითხვაზე: „მიგაჩნიათ თუ არა ახლანდელი მომენტი შესაფერისად გერმანიის გაერთიანებისათვის?", ამხანაგმა სტალინმა უპასუხა: „დიახ, მიმაჩნია".

თავის ამა წლის 9 აპრილის ნოტაში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი საბჭოთა მთავრობა აღნიშნავდა, რომ სწორედ ახლა წყდება საკითხი, აღდგენილი იქნება გერმანია როგორც ერთიანი, დამოუკიდებელი, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, რომელიც შევა ევროპის მშვიდობისმოყვარე ხალხთა ოჯახში, თუ ძალაში დარჩება გერმანიის გათიშვა და ამასთან დაკავშირებული ომის საფრთხე ევროპაში.

საბჭოთა ხალხი თანაუგრძნობს გერმანელი ხალხის ბრძოლას დასავლეთის სახელმწიფოების მმართველი წრეებისა და დასავლეთ გერმანიაში მათი მარიონეტების იმ ცდების წინააღმდეგ, რომ გერმანია ჩაითრიონ აგრესიულ ატლანტიკის ბლოკში, ჩაითრიონ ახალ მსოფლიო ომში. გერმანელი ხალხის დემოკრატიული ძალები სულ უფრო აქტიურად გამოდიან მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების" წინააღმდეგ, რომელსაც დასავლეთ გერმანიას თავს ახვევენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტები. გერმანელი ხალხი აძლიერებს ბრძოლას დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან მომავალი ომის პლაცდარმად მისი გადაქცევის წინააღმდეგ.

მშვიდობისა და ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის გერმანელი ხალხის ბრძოლას მეთაურობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია. გერმანელი ხალხისადმი, გერმანიის მუშების, გლეხების, ინტელიგენციის, მოქალაქეებისადმი, ყველა პარტიული მიმართულებისა და სარწმუნოების პატრიოტებისადმი თავის ცნობილ მიმართვაში ერთიანი სოციალისტური პარტია მოუწოდებს აქტიური ბრძოლისაკენ მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების" წინააღმდეგ, საზავო ხელშეკრულებისათვის, გათიშვის პოლიტიკის წინააღმდეგ, გერმანიის გაერთიანებისათვის.

ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი მხარს უჭერს გერმანელი ხალხის მოთხოვნას გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ, მშვიდობიანი გზით გერმანიის გაერთიანებისა და სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის შესახებ.

მშვიდობის მომხრეებს, ყველა უბრალო ადამიანს ესმით, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეების პოლიტიკა, რომლის მიზანია გერმანიის გათიშვა, დასავლეთ გერმანიის გადაქცევა იმპერიალისტური აგრესიის ბაზად ევროპაში. მშვიდობისმოყვარე ხალხები დიდი მოწონებით შეხვდნენ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების საბჭოთა პროექტს და გერმანიის საკითხზე წინადადებებს, რომლებსაც შეიცავს საბჭოთა მთავრობის 10 მარტისა და 9 აპრილის ნოტები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის 9 მაისის წერილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ამხანაგ ო. გროტევოლისადმი უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია. იგი გერმანელ ხალხს და ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ხალხებს განუმტკიცებს გერმანიის და მთელ მსოფლიოში მშვიდობის სასარგებლოდ გერმანიის საკითხის გადაწყვეტისათვის ბრძოლის წარმატების რწმენას.

**„პრავდის" 11-V მოწინავე**



ლენინგრადი. კიროვის სახელობის ქარხნის წარჩინებული მღარველი სტალინური პრემიის ლაურეატი ევგენი სავიჩი შრომის ჩქაროსნულ მეთოდებს ნერგავს. ახლა მექანიკურ საამქროში, სადაც სავიჩი მუშაობს, ყველა ოპერაციის 78 პროცენტი გადაყვანილია ჩქაროსნულ რეჟიმზე. ამხ. სავიჩმა 200 მუშას შეასწავლა დეტალების დამუშავების მოწინავე მეთოდები. სურათზე: ე. სავიჩი უჩვენებს ხტახანოველ მღარველს ანა პეტროვას ახალ მოწყობილობას რამდენიმე დეტალის ერთდროულად დამუშავებისათვის.

ფოტო პ. ფედოტოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## ელექტროგადამცემი ხაზი ვოლგაზე

**სტალინგრადი,** 8 მაისი. (საკდესი). დღეს „სტალინგრადჰიდრომშენის" ელექტრომემონტაჟეებმა დაამთავრეს სტალინგრადიდან ვოლგის მარცხენა ნაპირამდე მაღალვოლტიანი ხაზის ძირითად უბანზე სადენების გაბმა. იგი ელექტროენერგიით უზრუნველყოფს ახალი ქალაქის მშენებლობას და ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა მთავარ რაიონს — კუნძულ ლესნოის.

ვოლგაზე ერთი ნაპირიდან მეორემდე ორ გიგანტურ ანძაზე გაჭიმულია ოთხი მძლავრი ელსადენი. მარჯვენა ნაპირზე დადგმული ანძის სიმაღლეა 105 მეტრი მდინარის დონიდან. ამჟამად მიმდინარეობს ქვესადგურების მონტაჟი და სადენების გაყვანა კუნძულ ლესნოის მაგისტრალებზე.

ვოლგის მარცხენა ნაპირზე დაიწყო მაღალვოლტიანი ხაზის აგება ვოლგა-ურალის არხის ტრასამდე, სადაც მალე ექსკავატორები უნდა შეუდგნენ გრუნტის ამოღებას.

## კუიბიშევის ჰესის ქვაბულში

**კუიბიშევი,** 10 მაისი. (საკდესი). მილიონნახევარზე მეტი კუბური მეტრი გრუნტია ამოღებული მძლავრი ექსკავატორებით კუიბიშევის ჰესის შენობის ქვაბულიდან. უდიდესი ქვაბული ვოლგის მარჯვენა ნაპირზე სულ უფრო ღრმავდება. ქვაბულის შემდგომი დამუშავება მოითხოვს გრუნტის წყლებთან ბრძოლის ღონისძიებათა მთელი სისტემის განხორციელებას.

აქ ვოლგა-დონის არხის მშენებლობიდან ჩამოვიდნენ წყალდამწევ სამუშაოთა სპეციალისტები. ქვაბულის გარშემო დაიწყო ჰაბურღილ-ჭების ბურღვა. ღრმადჩამწვდომი ტუმბოები ამოტუმბავენ მათგან წყალს და შეამცირებენ გრუნტის წყლის დონეს ქვაბულში.

ჰესის ქვაბულში გრუნტის წყალთან ბრძოლისათვის გამოყენებულ იქნება ვოლგა-დონის არხის მშენებლობაზე გამოცდილი საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები.

## ხელოვნური ჰავის ლაბორატორია

მოსკოვში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე დაიწყო მშენებლობა ხელოვნური ჰავის ლაბორატორიისა, რომელიც ყველაზე დიდი იქნება ჩვენს ქვეყანაში.

ლაბორატორიის ორსართულიანი ახალი შენობა შენდება არქიტექტორ კ. ა. შევჩენკოს და ინჟინერ ე. მ. ლუკიანოვის პროექტის მიხედვით. შენობაში მოთავსდება ოთხი ვრცელი ორანჟერეა, სადაც თავს მოუყრიან დედამიწის ნაირნაირ ფლორას, და თექვსმეტი ექსპერიმენტული კამერა მცენარეებზე მეცნიერული ცდების საწარმოებლად.

შენობის სარდაფში დაიდგმება ავტომატურად მოქმედი მექანიზმების რთული სისტემა. ამ მექანიზმების საშუალებით კამერებში შეიძლება შეიქმნას დედამიწის სულ სხვადასხვა ზონის ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა — ტროპიკების ცხელი და ტენიანი ჰავა, სსრ კავშირის ცენტრალური ოლქების ზომიერი, პოლარული რაიონების ცივი და მშრალი, მაღალმთიანი და უდაბნო რაიონების მკვეთრად ცვალებადი ჰავა.

მცენარეთა ზრდაზე, განვითარებასა და მსხმოიარობაზე კლიმატური პირობების ზეგავლენის შესასწავლად ცალკეულ კამერებში დაიცავენ სინათლისა და ტენის სხვადასხვა რეჟიმს, ხელოვნურად შექმნიან ხორშაკის, გვალვის, ძლიერი ყინვისა და სიცხის რეჟიმებს. ამავე კამერებში შეიძლება აწარმოონ მუშაობა კულტურულ მცენარეთა ყინვაგამძლეობის შესასწავლად.

(საკდესი)

# ბიუროკრატიული, ნაცნობ-მეგობრობის პრინციპით ხელმძღვანელობის შედეგები

ბიბლიოთეკა

დიდი შემოქმედებითი მუშაობაა გაჩაღებული მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქში — რუსთავში. საბჭოთა ადამიანები შრომითი გმირობის შესანიშნავ ნიმუშებს იძლევიან. ქართული ფოლადით დატვირთული ეშელონები რუსთავიდან ყოველდღე მიემართებიან სოციალისტური სამშობლოს სხვადასხვა კუთხისაკენ. დღითიდღე იზრდება, ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება რუსთავი.

ჩვენი პარტია, საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევენ რუსთავის მშენებლებს, ქართველ მეფოლადეებს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის" ტრესტისა და მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელები ამ დახმარებას საკმაოდ ვერ იყენებენ. მათ ვერ შეძლეს მუშაობის ისე წარმართვა, რომ წარმატებით სრულდებოდეს მეტალურგიული ქალაქის მშენებლობისა და ფოლადის გამოდნობის სახელმწიფო დავალება. ტრესტმა (უფროსი ნ. გიორგაძე) 1951 წლის სამშენებლო გეგმა მხოლოდ 86 პროცენტით შეასრულა, ამასთან სამუშაოთა უხეირო ორგანიზაციის შედეგად 5,5 მილიონი მანეთით გააძვირა მშენებლობა. უფრო ცუდად იმუშავა მიმდინარე წლის განვლილ 4 თვეში, — მშენებლობის გეგმა 77 პროცენტით შეასრულა და მშენებლობის გაძვირებით სახელმწიფოს თითქმის 3 მილიონი მანეთი აზარალა. მეტალურგიულმა ქარხანამ (დირექტორი ნ. გომელაური) ვერ შეასრულა გასული წლის საწარმოო დავალება, ამავე პერიოდში წუნის გამოშვებით სახელმწიფოს 18 მილიონი მანეთის ზარალი მიაყენა. ტრესტისა და ქარხნის ხელმძღვანელები გართული არიან კინკლაობით და ჩამორჩენის მიზეზებს ერთმანეთს აბრალებენ.

ტრესტ „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის" ხელმძღვანელობა ვერ იყენებს მშენებლობის დასაჩქარებლად მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას, ფართოდ ვერ ნერგავს მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებს, წლობით აჭიანურებს ცალკეული ობიექტების მშენებლობას, რაც იწვევს დიდ გადახარჯვას და მეტალურგიული ქარხნის მუშაობის შეფერხებას. მრავალ მნიშვნელოვან ობიექტთან ერთად, 12-ჯერ ჩაიშალა აბანო-სამრეცხაო კომბინატის მშენებლობის დამთავრების ვადა. ამ კომბინატის მშენებლობა მეექვსე წელია გრძელდება, ხარჯთაღრიცხვის გადამეტებით თითქმის მილიონი მანეთი დაიხარჯა, მაგრამ აბანო-სამრეცხაო ჯერაც არ ამუშავებულა. მშენებლობის დამთავრების მოლოდინში გასული წლის დეკემბერში კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა შტატიც დააკომპლექტეს, რომლებიც უსაქმოდ სხედან და მხოლოდ იმას აკეთებენ, რომ... დღემდე ხელფასის სახით 50 ათასი მანეთი მიიღეს.

ტრესტის სამშენებლო ობიექტებზე სერიოზული ყურადღება არ ექცევა მშენებლობის ხარისხს, ჩვეულებრივი მოვლენაა წუნის დაშვება, არ ამჟღავნებენ და არ სჯიან წუნის დაშვებაში დამნაშავეებს. მშენებლებმა წელს საექსპლოატაციოდ გადასცეს საშუალო სკოლის შენობა, რომელსაც იმდენად ვიწრო კარები გაუკეთეს, რომ საკლასო ოთახებში შესატანად საჭირო გახდა მერხების დაშლა. კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს სასტუმრო, რომლის მშენებლობა შვიდიოდე თვის წინათ დამთავრდა. საბინაო მშენებლობის სამმართველომ № 12 სახლის მშენებლობის დროს საპროექტო მოთხოვნები არ დაიცვა. ამის გამო სახლის ჭერი ჩამოინგრა და მის აღდგენაზე ათეული ათასი მანეთი დაიხარჯა.

სამშენებლო გეგმის შეუსრულებლობა, ცალკეული ობიექტების მშენებლობის წლობით გაჭიანურება, მშენებლობის დანაშაულებრივი გაძვირება, დაბალხარისხოვნად მუშაობა და დიდი ზარალი იმის შედეგია, რომ „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის" ტრესტისა და მისი სამშენებლო სამმართველოების აპარატში მოკალათებული არიან არა საქმის წარმატებით დაინტერესებული პირები, არამედ ისეთი ადამიანები, რომლებიც სამსახურებრივ მდგომარეობას გამორჩენისა და პირადი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის იყენებენ. ტრესტის ხელმძღვანელები და პირველ რიგში მისი უფროსი ნ. გიორგაძე კადრების შერჩევისას ბიუროკრატიული, ნაცნობ-მეგობრობის პრინციპით ხელმძღვანელობენ. ნ. გიორგაძემ თავის გარშემო შემოიკრიბა ნათესავები და ნაცნობ-მეგობრები, რომლებიც დახელოვნებული არიან კომბინაციების მოწყობაში და მრავალჯერ ყოფილან დაპატიმრებულნი სახელმწიფოებრივი დანაშაულის ჩადენისათვის.

ტრესტის ერთ-ერთი სამშენებლო სამმართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობს ვინმე ა. ფანცულაია, რომელიც დანაშაულისათვის მრავალ წელიწადს იჯდა საპატიმროში. ვ. მიქაძე, რომელიც 9 წელიწადს პატიმრობაში იყო, ტრესტის საბინაო მშენებლობის სამმართველოს მთავარი მექანიკოსია. ბეტონის ცენტრალური კომბინატის მთავარი ბუხჰალტერი ი. მელუხა 10 წელიწადს შრომა-გასწორების კოლონიაში იმყოფებოდა. მრავალ წელიწადს პატიმრობაში არიან ნამყოფი ტრესტის რკინიგზის სატრანსპორტო კანტორის საგეგმო განყოფილების უფროსი ა. გოგოლაშვილი და ხე-ტყის ბაზის უფროსი ი. ბოსტოლანაშვილი.

ნ. გიორგაძემ თავისი პირადი მეგობარი, ბნელი წარსულის მქონე პ. დონდუა დამხმარე საწარმოთა სამმართველოს მთავარი ინჟინრის პოსტზე დასვა. ასევე „თბილ ადგილზე" მოაკალათა თანასოფლელები ა. სიხარულიძე, ქ. ჯიქია, გ. გიორგაძე და სხვები.

ნ. გიორგაძის მფარველობის ქვეშ მყოფი ნაცნობ-მეგობრები თავს არხეინად გრძნობენ და ხელს უსინდისოდ ურევენ სახელმწიფო ქონებაში. ტრესტის დამხმარე მეურნეობის ყოფილი დირექტორი პ. ყაჭეიშვილი ათასგვარ კომბინაციებს ეწეოდა. მან ტრესტის საშენი მასალებით საცხოვრებელი სახლები აიგო თბილისსა და რუსთავში. 1951 წლის 14 დეკემბერს პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ბიურომ ბოროტმოქმედი ყაჭეიშვილი სამუშაოდან მოხსნა და პასუხისგებაში მისცა. ნ. გიორგაძემ იკისრა თავისი ერთგული ლაქიის დაცვა და იგი ახალ თანამდებობაზე დანიშნა. მხოლოდ ზემდგომი ორგანოების ზემოქმედებამ აიძულა გიორგაძე დამნაშავე პასუხისგებაში მიეცა.

ნ. გიორგაძემ დამხმარე მშენებლობის სამმართველოს უფროსად დანიშნა გაქნილი კომბინატორი ი. სლუჩევსკი. მას ერთ დღესაც არ უმუშავნია ამ თანამდებობაზე. სამაგიეროდ სლუჩევსკიმ 1947 წლის ნოემბრიდან 1949 წლის მარტამდე მარტო ხელფასის სახით სახელმწიფოს 48 ათასი მანეთი წაჰგლიჯა. შეფის დახმარებით კომბინატორი როგორღაც ქალაქ ივანოვოში მოხვდა, სადაც ტრესტმა ხე-ტყის დამზადებისათვის 60 ათასი მანეთი გადაურიცხა. ამ თანხიდან ყალბი განაწესების შედგენით სლუჩევსკიმ 56 ათასი მანეთი მიითვისა.

წლების განმავლობაში ერთ-ერთი სამშენებლო სამმართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობდა ნ. გიორგაძის ცოლისძმა ვ. კოროშინაძე. 1949 წელს კოროშინაძემ მასთან მომუშავე ვინმე კუზანოვს ქარელის რაიონში გასაყიდად გაატანა ტრესტის კუთვნილი 2 ტონა სახურავი თუნუქი. ბოროტმოქმედი გზაში დააკავეს. სიძემ ცოლისძმა განსაცდელისაგან იხსნა და ახალ თანამდებობაზე—საქალაქო მშენებლობის სამმართველოს ტექნიკური მომარაგების უფროსად დანიშნა, ხოლო მალე აქ ჩადენილ ახალ ბოროტმოქმედებათა კვალის დასაფარავად სხვა სამშენებლო სამმართველოში გადაიყვანა. ტრესტის გულკეთილმა უფროსმა პასუხისგებაში არ მისცა ტრესტის ტექნიკური მომარაგების მთავარი კანტორის ბაზის უფროსი გ. გიორგაძე, რომელსაც ქურდობაზე წაასწრეს. პირიქით, იგი უფრო „თბილ ადგილზე" გადაიყვანა.

ცხადია, ასე უპასუხისმგებლოდ, დანაშაულებრივად შერჩეული კადრები უკან ეწევიან ტრესტს, სახელმწიფოს მილიონობით ზარალს აყენებენ. ის, რაც შენდება და კეთდება, მხოლოდ მშენებელი მუშების მრავალათასიანი კოლექტივისა და იმ კეთილსინდისიერი, პატრიოტი ხელმძღვანელი მუშაკების თავდადებული შრომის ნაყოფია, რომლებიც ნ. გიორგაძისა და მისი ნაცნობ-მეგობრების პატივისცემით არ სარგებლობენ.

თვითონ ნ. გიორგაძემ დაკარგა ბოლშევიკი ხელმძღვანელის ნამდვილი სახე და ობივატელურ ჭაობში ჩაეფლო. სხვა რით შეიძლება ავხსნათ ის გარემოება, რომ იგი თავს ვერ ართმევს ტრესტში სამშენებლო სამუშაოთა დიდ ჩამორჩენას, მშენებლობის გაძვირებას, უხარისხოდ შესრულებას და ამავე დროს დიდ უნარსა და მოხერხებულობას იჩენს თავისი ოჯახისათვის რაღაც მითიური, განსაკუთრებულად კომფორტაბელური საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად?! მაშინ, როცა რუსთავში მშენებლობის გეგმები იშლებოდა, სწრაფად, მაღალი გემოვნებით და უნაკლოდ აშენებულ იქნა მისი საცხოვრებელი სახლები რუსთავში, თბილისში და შესანიშნავი აგარაკი წყნეთში. განა ფაქტი არ არის, რომ მისი ოჯახის გაზრდილი (უფრო სწორად ობივატელური) მოთხოვნილება ველარ დააკმაყოფილა მარჯანიშვილის ქუჩაზე სამოთახიანმა შესანიშნავმა ბინამ და 9-ოთახიან ბინაში შესახლდა ნიალვრის ქუჩაზე ტრესტის მიერ აგებულ საცხოვრებელ სახლში? ანდა ის ფაქტი რად ღირს, რომ წყნეთის აგარაკზე გიორგაძის ოჯახს მომსახურებას უწევს, ბაღსა და ბოსტანს უვლის ტრესტის ორი თანამშრომელი, რომლებიც სახელმწიფოსაგან იღებენ ხელფასს?

იმის ნაცვლად, რომ ბოლშევიკური ხელმძღვანელობა გაეწია, გადამჭრელი ზომები მიეღო „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის" ტრესტში უმსგავსობათა აღმოსაფხვრელად, გაეწმინდა ტრესტი შემთხვევითი პირებისა და ბოროტმოქმედებისაგან, ტრესტისა და მისი სამშენებლო ობიექტების პარტიულ ორგანიზაციებში სათანადო სიმაღლეზე დაეყენებინა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, ხელი შეეწყო კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლისათვის, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი გ. ზედგინიძე ადგა ტრესტის ხელმძღვანელთა მაამებლობის პოლიტიკას, იჩენდა უპრინციპობას და ყურს არ უგდებდა მშრომელთა სიგნალებს, რითაც დიდ ზიანს აყენებდა სახელმწიფოებრივ საქმეს. ჯერ კიდევ 1949 წლის ივლისში საქალაქო კომიტეტში შევიდა სიგნალი ტრესტის ტექნიკური მომარაგების მთავარ კანტორაში ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ. სიგნალის ავტორი, ამავე კანტორის პარტბიუროს მდივანი ვ. ნაცვალოვი ბოლშევიკური პირდაპირობით აცხადებდა, რომ საწყობის გამგემ კანანოვმა გაანიავა მატერიალური ფასეულობანი. კანტორის უფროსმა პ. ბეთანელმა, რომელიც ცნობილია თავისი კომბინაციებით, დამნაშავე პასუხისგებაში მიცემის ნაცვლად თანამდებობიდან გაათავისუფლა და საშუალება მისცა მიმალულიყო. მანვე დაუსჯელად დატოვა თბილისის სატყეო ბაზის საწყობის გამგე პოროცკი, რომელმაც 4 ვაგონი დახერხილი ხე-ტყე გაანიავა. პ. ბეთანელმა ტრესტის კუთვნილი ხე-ტყე დიდი რაოდენობით გასცა არადანიშნულებისამებრ, რითაც ხელი მოითბო. საქალაქო კომიტეტი საქმის გამორკვევას 1951 წლის ივნისამდე მოუნდა. 8 ივნისს საქალაქო კომიტეტის ბიურომ საქალაქო კომიტეტის მდივნის ი. ვიშნიაკოვის უხამსი დასკვნის საფუძველზე შეუძლებლად ჩათვალა მთავარი ბოროტმოქმედების გარკვევა „შემოწმების სიძნელის გამო" და მთავარ დამნაშავეს ბეთანელს საყვედური აკმარა.

საჭაპანო-სატრანსპორტო კანტორის პარტორგანიზაციამ პარტიიდან გარიცხა გამფლანგველი პროკოპენკო. 1951 წლის ოქტომბერში ოქმი დასამტკიცებლად საქალაქო კომიტეტს წარუდგინა. საქალაქო კომიტეტს ეს ოქმი დღემდე არ განუხილავს და გამფლანგველი პროკოპენკო, პარტიული ბილეთით ჯიბეში, არხეინად გრძნობს თავს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერი სტილი, ბიუროკრატიზმი, მასებისაგან მოწყვეტა და ნაკლოვანებათა წინაშე თვალის დახუჭვა მთლიანად იყო დანერგილი რუსთავის საქალაქო კომიტეტის მუშაობაშიც. საქალაქო კომიტეტის ყოფილი მდივანი გ. ზედგინიძე იმასაც კი არ მოერიდა, რომ ტრესტს ქალაქის ცენტრში თავის საცხოვრებლად აეგებინა ორსართულიანი კოტეჯი, რომელიც კომფორტაბელურად მოწყობილი 8 ოთახისაგან შედგება. მას შემდეგ, რაც ეს ამბავი გახმაურდა, კოტეჯი „პიონერთა სახლად" მონათლეს.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნად გადმოყვანის შემდეგ გ. ზედგინიძემ თან წამოიყვანა თავისი „კუდები". თბილისის სამხედროვაჭრობის უფროსად წამოიყვანა გ. მარტიაშვილი, რომელმაც საქვაჭრობის რუსთავის განყოფილების მმართველად მუშაობის დროს გადაგვარებული ადამიანებით დაანაგვიანა სავაჭრო ქსელი, ჩაშალა მუშაობა. რუსთავში მისი მუშაობის დროს სავაჭრო ქსელში დიდძალი თანხა გაიფლანგა. მაგრამ მარტიაშვილმა ვერც ახალ თანამდებობაზე ასახელა თავისი შეფი.

თბილისის საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველოს უფროსად გ. ზედგინიძემ რუსთავიდან ჩამოიყვანა ვინმე ლ. მაისურაძე. იგი რუსთავის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატს ხელმძღვანელობდა. მაისურაძის „ხელმძღვანელობის" შედეგად კომბინატმა გასული წლის გეგმა მხოლოდ 72 პროცენტით შეასრულა. კომბინატში მთელი რიგი უმსგავსოებანი ხდება, უხეშად ირღვევა საფინანსო დისციპლინა. ხელფასის უწყისში 8.400 მანეთის რაოდენობით, რომელსაც 1951 წლის 12 დეკემბრის თარიღით მაისურაძის რეზოლუცია ამშვენებს, ყალბი ხელისმოწერებია. მაგალითად, უწყისში აღნიშნულია თითქოს მოქალაქე ს. ქერენაშვილს მიღებული აქვს ერთხელ 1.006 მანეთი, ხოლო მეორედ 600 მანეთი. სინამდვილეში მას ეს თანხა არ მიუღია. სამუშაოდან განთავისუფლებულ პირებზე (მ. სარქისიანი, ა. მამედოვი და სხვები) ზედმეტად გაცემულია 8.891 მანეთი. კომბინატის პროდუქცია დაბალი ხარისხისაა. აქ უხეშად არღვევენ ფასებს, კომბინატორებმა სახელმწიფოს 50.000 მანეთის ზარალი მიაყენეს. ყოველივე ამის შემდეგ განა ცხადი არ არის, თუ რა ხელმძღვანელობას გაუწევს მაისურაძე თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებს?

დიდი ნაკლოვანებებია რუსთავის სავაჭრო ქსელში. საქვაჭრობის რუსთავის განყოფილებაში ასეულ ათასობით მანეთია გაფლანგული. სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა წინააღმდეგ სუსტად იბრძვიან ადგილობრივი ორგანიზაციები. ქალაქის პროკურორს ვ. ცერცვაძეს ეშინია დამნაშავეთა შეფებისა, პროკურატურა და მილიცია (უფროსი კირვალიძე) დანაშაულთა აღმრიცხველის როლში გამოდიან. საქვაჭრობის რუსთავის განყოფილების საწყობის გამგემ შ. დავითაშვილმა 126.000 მანეთი გაფლანგა და მიიმალა. მილიციისა და პროკურატურის სიფხიზლის მოდუნების გამო მიიმალა აგრეთვე ტრესტის მანქანათა საიჯარო-საექსპლოატაციო ბაზის მთავარი ბუხჰალტერი მექრთამე ე. ბოსტანჯიევი.

სავაჭრო ქსელში არსებულ ნაკლოვანებათა ვითომ გამოსასწორებლად პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ყოფილმა მდივანმა გ. ზედგინიძემ მმართველად თავისი ახლობელი ა. სარაჯიშვილი დანიშნა. ცუდი ხელმძღვანელის ხელში სავაჭრო ქსელში მდგომარეობა უფრო გაუარესდა. სარაჯიშვილის „მოღვაწეობის" ოთხი თვის მანძილზე კომბინატორებმა სახელმწიფოს 345.900 მანეთი ზარალი მიაყენეს.

საქალაქო კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობა (მდივანი ამხ. გ. გეგეშიძე) ჯერჯერობით არსებული მდგომარეობის შესწავლის პროცესშია, დღემდე არ მიუღია გადამჭრელი ზომები ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ეჭვი არ არის, პარტიის თბილისის საოლქო კომიტეტი ბოლშევიკურ წესრიგს დაამყარებს ჩვენი რესპუბლიკის სიამაყის — მეტალურგთა ქალაქ რუსთავის პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში.

**ა. გოცირიძე**
**მ. აროშიძე**
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტები
**ბ. გელაშვილი**
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

# ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲕᲧᲝᲗ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲣᲨᲐᲮᲔᲚᲘᲗ

## (ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ)

ამას წინათ შედგა მუშახელის ორგანიზებულად შეგროვების რესპუბლიკური კანტორის მუშაკების, უბნის რწმუნებულებისა და ინსპექტორების თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ აგრეთვე სამრეწველო საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თათბირმა მოისმინა კანტორის უფროსის ამხ. გ. სოლომონიას მოხსენება საქართველოში მუშახელის ორგანიზებულად შეგროვების საქმის მოწესრიგების თაობაზე. მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს უბნის რწმუნებულებმა—ი. უზნაძემ, ა. მკრტიჩიანმა, ვ. ბექაშვილმა, ა. ყაჭეიშვილმა, უბნის ინსპექტორებმა ბ. ჯავახიშვილმა, ს. ნადირაძემ, „ტყვარჩელშახტმშენის" უფროსის მოადგილემ ვ. ბაძაღუამ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ი. ფრანგულიანმა და სხვებმა.

როგორც მოხსენებიდან, ისე მოკამათეთა სიტყვებიდან გამოირკვა, რომ მთლიანად კანტორის მიერ მუშახელის შეგროვების გეგმის გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად მთელი რიგი საუბნო სარწმუნებულოები სისტემატურად ვერ ანაღდებენ სახელმწიფო დავალებას. გურჯაანის, თელავის, წითელწყაროს, მცხეთისა და ზუგდიდის უბნის რწმუნებულები და ინსპექტორები იოლი გზით მიდიან, მუშახელის უდიდეს ნაწილს აგროვებენ ეკონომიურად შედარებით სუსტ კოლმეურნეობაში, ეკონომიურად მძლავრი კოლმეურნეობებიდან კი თითქმის არც ერთი კაცი არ გამოჰყავთ.

უბნის რწმუნებულების ნ. ნაცვლიშვილის, გ. აბულოვის, ვ. ბექაშვილის, ს. ბეპიევის, ვ. სიჭინავას და სხვების დაუდევრობით სასოფლო საბჭოები და კოლმეურნეობები დაგვიანებით იღებენ მრეწველობისათვის მუშახელის ორგანიზებულად შეგროვების გეგმებს. ამის გამო ირღვევა მუშახელის შეგროვების გრაფიკი.

უბნის რწმუნებულები ბ. აკოფოვი, მ. ჯალილოვი, გ. აბულოვი, ა. ფანცულაია და სხვები ზოგჯერ შრომით ხელშეკრულებას არასწორად აფორმებენ. კასპის, წითელწყაროს, მცხეთის რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები ამხანაგები მერაბიშვილი, ნატროშვილი, ჯავახიშვილი მუშახელის ორგანიზებულად შეგროვების შეუფასებლობას იჩენენ, მუშახელის შეგროვების გეგმას კოლმეურნეობებზე მექანიკურად ანაწილებენ ისე, რომ მხედველობაში არ იღებენ კოლმეურნეობებში მუშახელის არსებულ რესურსებს. დმანისის, წითელწყაროს და ბოლნისის რაიონებში არის შემთხვევები, როცა სასოფლო საბჭოს და კოლმეურნეობის თავმჯდომარეები ხელს უშლიან მრეწველობაში სამუშაოდ კოლმეურნეების წასვლას.

ზესტაფონის, ბოლნისის, დმანისის, თიანეთის და თელავის რაიონების სამხედრო კომისარიატები და მილიციის საპასპორტო განყოფილებები აჭიანურებენ და პირველ რიგში არ აფორმებენ იმ კოლმეურნეების პასპორტებსა და სამხედრო ბილეთებს, რომლებმაც დადეს შრომითი ხელშეკრულება მრეწველობაში სამუშაოდ.

მუშახელის ორგანიზებულად შეგროვების დარგში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები აქვთ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ადგილობრივ ორგანოებს. ზოგიერთი ექიმი საქმეს უპასუხისმგებლოდ და გულგრილად ეკიდება, არის შემთხვევები, როცა საექიმო დასკვნით ფიზიკური შრომისათვის ვარგისად აღიარებული არიან არა ჯანმრთელი პირები. ასეთი შემთხვევები იყო თბილისის მე-4 და მე-14 პოლიკლინიკებში, ქედის, ხულოს, თეთრიწყაროს და დმანისის რაიონებში.

სამრეწველო საწარმოებისა და სამშენებლო ობიექტების ხელმძღვანელები ვალდებული არიან კოლმეურნეობიდან სამუშაოდ ჩამოსულ მუშებს მოუწყონ გულთბილი შეხვედრა, შეუქმნან მუშაობისა და ცხოვრების ნორმალური პირობები. სამწუხაროდ, ყოველთვის ასე როდი ხდება. „ტყვარჩელშახტმშენის" მშენებლობის უფროსმა პ. აბაკელიამ ბათუმიდან ჩამოსული მუშები 10 დღეს ალოდინა და არც ბინა და არც სამუშაო არ მისცა. ამავე ტრესტის სხვა მშენებლობის უფროსი ლ. დარჩიაც არ ზრუნავს მუშებისათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად. მუშებისათვის არადამაკმაყოფილებელი საყოფაცხოვრებო პირობებია შექმნილი ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის", „საქართველოს შახტმშენის", „ორთაჭალჰესმშენის", „ზულაჩაურმშენის" სამშენებლო ობიექტებზეც.

მშენებლობებზე ხშირად მოუგვარებელია მუშათა გამომუშავების აღრიცხვა. „ტყიბულშახტმშენისა" და უმაღლესი სასწავლებლების მშენებლობის სამმართველოს სამშენებლო ობიექტებზე მუშებს ყოველდღე არ ეძლევათ განაწესი, მათ არ იციან დღეს რა სამუშაო შეასრულეს და რა გამოიმუშავეს.

მოკამათეებმა გააკრიტიკეს მუშახელის ორგანიზებულად შეგროვების რესპუბლიკური კანტორის ხელმძღვანელობა, რომელიც სუსტ კონტროლსა და დახმარებას უწევს საუბნო სარწმუნებულოების მუშაობას, დროზე ვერ არკვევს გეგმის შეუსრულებლობის კონკრეტულ მიზეზებს, არ აწყობს მოწინავეთა გამოცდილების ჩვენებას, პრაქტიკაში არა აქვს შემოღებული მოწინავე მუშაკების დაჯილდოება და წახალისება.

თათბირზე აგრეთვე აღინიშნა, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა რესპუბლიკური კომიტეტი და მისი ადგილობრივი ორგანოები მოსახლეობაში სრულიად არადამაკმაყოფილებელ სააგიტაციო-მასობრივ მუშაობას ეწევიან მრეწველობისათვის მუშახელის ორგანიზებულად შეგროვების უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხზე.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. კ. ციმაკურიძემ, რომელმაც თათბირის მონაწილეებს მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი დაუსახა.

# ᲩᲮᲣᲢᲣᲜᲔᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲜᲔᲜ

ბათუმის რაიონის სოფელ ჩხუტუნეთის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. კახიძე) გასულ წელს თამბაქოს და სხვა ერთწლიანი კულტურების დაბალი მოსავალი მიიღო. ეს ჩამორჩენა იმით იყო გამოწვეული, რომ კოლმეურნეობაში ვერ მოაწესრიგეს შრომა. დაბალხარისხოვნად სრულდებოდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, სუსტი იყო კონტროლი.

კოლმეურნეობის მეხუთე ბრიგადას შარშან გეგმით უნდა მიეღო 3.700 კილოგრამი თამბაქო, მიიღო მხოლოდ 2.453 კილოგრამი. სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების გეგმა ვერ შეასრულა პირველმა ბრიგადამაც. უყაირათო მუშაობის შედეგად მიჩენილ ნაკვეთებზე ძალიან დაბალი მოსავალი მიიღეს კოლმეურნეებმა ხ. გოგიძემ, ა. ფუტკარაძემ, მალაყაძემ და სხვებმა.

კოლმეურნეობაში გასული წლის შედეგებიდან სათანადო დასკვნა წელსაც არ გაუკეთებიათ, ისევ ძველებურად, ცუდად მუშაობენ. ვერ გამოიყენეს თებერვალ-მარტის ხელსაყრელი ამინდები. კოლმეურნეობის 26 ჰექტარი სათამბაქოე ფართობიდან ნახევარიც არ არის მოხნული.

თამბაქოსა და სხვა ერთწლიანი კულტურების დაბალი მოსავლის ერთ-ერთი მიზეზი შარშან ისიც იყო, რომ დაივიწყეს ნიადაგის ორგანული სასუქით გაპატივება. ანალოგიური მდგომარეობაა წელსაც. საკოლმეურნეო ფართობზე 300 ტონა ორგანული სასუქი უნდა გაეტანათ, მაგრამ ეს სამუშაო რატომღაც ჭიანურდება.

კოლმეურნეობაში განმტკიცებული არ არის შრომის დისციპლინა, ყველა კოლმეურნე არ მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში. მეოთხე ბრიგადაში (ბრიგადირი ხ. ნაგერვაძე) საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ჭიანურდება. 49 შრომისუნარიანიდან სამუშაოდ ყოველდღიურად 9-10 კაცი გამოდის.

წელს საკოლმეურნეო შრომაში სრულებით არ მიუღიათ მონაწილეობა შრომისუნარიან წევრებს კ. სალვარიძეს, ე. მალაყაძეს. სისტემატურად აცდენენ სამუშაო დღეებს კოლმეურნეები ა. კახიძე, ა. ხინკილაძე, ხ. კახიძე და ბევრი სხვა. მათ მიმართ კოლმეურნეობის გამგეობას არავითარი ზომები არ მიუღია.

რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებამ მეტი ხელმძღვანელობა და საქმიანი დახმარება უნდა გაუწიოს ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს.

**დ. ᲙᲣᲭᲐᲕᲐ**

გაზეთ „კოლმეურნეს" პასუხისმგებელი მდივანი

# ᲡᲐᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲔ ᲞᲐᲕᲘᲚᲘᲝᲜᲘ

**ᲮᲐᲨᲣᲠᲘ.** (საკ. კორ.). ხაშურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილება და რაიაბრეშუმი ხაშურში აგებენ აბრეშუმის პარკის საშრობ ორსართულიან პავილიონს.

საშენი მასალა უკვე მოზიდულია, მშენებლები შეუდგნენ მუშაობას. პავილიონი მზად უნდა იქნეს აბრეშუმის პარკის შემოსვლის სეზონისათვის.

ჩ ვ ე ნ  გ ვ წ ე რ ე ნ

# ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲙᲣᲠᲝᲠᲢ ᲡᲥᲣᲠᲡ

წალენჯიხის რაიონის კურორტი სქური საკმაოდ ცნობილია თავისი სამკურნალო მინერალური წყლებით, რაც კარგად რგებს კუჭ-ნაწლავის კატარით, კუჭის წყლულით და ბრონქიტით დაავადებულთ. უკანასკნელ წლებში კურორტის კეთილმოწყობისათვის გაწეულია ერთგვარი მუშაობა. 1947 წლიდან საექსპლოატაციოდ გადაცემულია 32-ბინიანი საცხოვრებელი სახლის ორსართულიანი კაპიტალური შენობა, მაღაზიისა და საექიმო პუნქტის ახალი შენობები. საგრძნობლად გადიდდა მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის წლიური პროდუქცია, რამაც შარშან ნახევარ მილიონ ბოთლს გადააჭარბა. ახლა „სქური" იგზავნება არა მარტო რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში, არამედ მოსკოვში, კიევში, ბაქოში, ხარკოვში, ოდესაში, მაიკოპში და სხვ.

მაგრამ კურორტი დღემდე არ არის კეთილმოწყობილი. შარშან ხშირად გაიგონებდით სამკურნალოდ ჩამოსულთა საყვედურებს, რომ საცხოვრებლებში წვიმა ჩამოდიოდა, ცუდად იყვნენ მომარაგებული სურსათით და სამრეწველო საქონლით. სეზონის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა, ეს ნაკლოვანებანი ჯერაც აღმოფხვრილი არ არის. ორი საცხოვრებელი სახლი ცუდ მდგომარეობაშია, წვიმა ჩამოდის ყველა ოთახში, ლპება ჭერი, იატაკი, კედლები, ბევრგან ჩამტვრეულია მინები. შეკეთებას საჭიროებს დიდი კაპიტალური შენობის სახურავი.

კურორტი ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგებლობაშია და მოკლებულია საჭირო დაფინანსებას. განა უკეთესი არ იქნებოდა სქური საქართველოს სსრ კურორტთა სამმართველოს გადასცემოდა? სანამ ეს არ გაკეთებულა, კურორტს რაიონმა უნდა უპატრონოს.

სქურის მინერალური წყლების გადაზიდვას დიდად აბრკოლებს წალენჯიხასთან მდინარე ჭანისწყალზე ხიდის უქონლობა. იმის გამო, რომ ადიდებულ მდინარეზე მანქანების მიმოსვლა შეწყვეტილია, მინერალური წყლების ჩამომსხმელ ქარხანაში აწყვია გასაგზავნად გამზადებული 60 ათას ბოთლზე მეტი წყალი.

სქურის წყლებზე მშრომელთა მოთხოვნილება დიდია, მაგრამ წალენჯიხის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება ყოველწლიურად გასაგზავნად ამზადებს მხოლოდ 500-600 ათას ლიტრს. წყლის სადღეღამისო დებიტი კი 100 ათას ლიტრს აღწევს. რატომღაც დღემდე უშედეგოდ დარჩა არაერთგზისი მოთხოვნა, რომ სქურის მინერალური წყლების გადამუშავება გადასულიყო ტრესტ „საქართველოს მინერალური წყლების" სისტემაში, რაც ქარხნის გაფართოების პირობებს შექმნიდა.

სქურს ყველა ღირსება აქვს იმისათვის, რომ საქართველოს ერთ-ერთ კეთილმოწყობილ კურორტად გადაიქცეს. საჭიროა მხოლოდ მეტი მონდომება და ინიციატივა.

**Ვ. ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

„კ ო მ უ ნ ი ს ტ ი ს"  ს ი გ ნ ა ლ ი ს  შ ე მ დ ე გ

# „ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲡ ᲡᲣᲡᲢᲐᲓ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲔᲜ"

ამ სათაურით „კომუნისტის" 30 აპრილის ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია, რომელშიც მხილებული იყო საგარეჯოს რაიონში არსებული ნაკლოვანებანი.

პარტიის საგარეჯოს რაიონული კომიტეტი გვატყობინებს, რომ ბიურომ განიხილა აღნიშნულ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები და ფაქტები მთლიანად დადასტურებულად ცნო. რაიკომის ბიურომ სოფელ ხაშმის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ნახუცრიშვილს ხვნა-თესვის გაჭიანურებისა და სამუშაოების უხარისხოდ შესრულების წინააღმდეგ ზომების მიუღებლობისათვის გამოუცხადა საყვედური. გაფრთხილება მიეცათ სოფელ მანავის მოლოტოვის, საგარეჯოს მარქსის სახელობის, გიორგიწმინდის კოლმეურნეობა „განთიადის", საგარეჯოს „ახალი შრომის" და სართიჭალის კოლმეურნეობათა გამგეობის თავმჯდომარეებს ჯეჯილის მარგვლის სამუშაოთა ჩამორჩენისათვის. სასტიკი გაფრთხილება მიეცა სართიჭალის მტს-ის დირექტორს ამხ. კახაიას, რომელმაც სოფელ ხაშმის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში დაუშვა 16 ჰექტარი ფართობის უხარისხოდ დამუშავება, ამასთან წინადადება მიეცა მას მკაცრად დასაჯოს სამუშაოთა უხარისხოდ შესრულებაში დამნაშავე ბრიგადირი ამხ. ჯილაური და ტრაქტორისტები, განმეორებით, შრომადღეების დაურიცხავად შეასრულებინოს მათ ეს სამუშაო და აანაზღაურებინოს უშედეგოდ დახარჯული საწვავის ღირებულება.

რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი საგაზაფხულო სამუშაოთა მიმდინარეობაში არსებულ ნაკლოვანებათა უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის.

# ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

**ᲐᲡᲞᲘᲜᲫᲐ.** (საკ. კორ.). ასპინძის რაიკოოპკავშირი (თავმჯდომარე ა. ჭიპაშვილი), რომელიც ადიგენის რაიკოოპკავშირს ეჯიბრება, საგრძნობლად დაწინაურდა სოციალისტურ შეჯიბრებაში.

რაიკოოპკავშირმა 114 პროცენტით შეასრულა საქონელბრუნვის პირველი კვარტალის გეგმა. საზოგადოებრივი კვების ბრუნვის გეგმა შესრულებულია 102,7 პროცენტით, საპაიო გამოსაღებისა—181, კვერცხის დამზადებისა—336, ხორცისა — 576, თევზის — 356, ბეწვეულის დამზადებისა — 230 პროცენტით. მინიმუმამდე შემცირდა დებიტორული დავალიანება.

დღითიდღე ფართოვდება სავაჭრო ქსელი. რაიონის ცენტრში შენდება ორსართულიანი კაპიტალური შენობა, რომლის ქვემო სართულზე მოთავსდება სასურსათო და კულტმაღაზია, მეორე სართულზე — ბიბლიოთეკა და მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი ბინები, იქვე შენდება ერთი კაპიტალური შენობა, სადაც მოეწყობა სასადილო, საკუჭნაო და ლიმონათის ქარხანა.

დამთავრდა საბითუმო სამრეწველო საქონლის საწყობის აგება. გაყვანილია ელექტროსინათლე, ეზოში აშენებენ წყლის აუზს, წარმოებს ეზოს გამწვანება.

სოფელ ოთაში დამთავრდა ახალი მაღაზიის მშენებლობა. წელს განზრახულია ახალი მაღაზიები აშენდეს სოფლებში იდუმალაში, დამალასა და ოშორაში.

ეწყობა სეზონური სასადილო-პავილიონი ისტორიულ ციხე-ქალაქ ვარძიის მუზეუმთან.

# ᲫᲔᲮᲕᲔᲣᲚᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲜᲘ

თბილისის მიქოიანის სახელობის ხორცკომბინატში დამზადებულია ძეხვის ორი ახალი სახეობა—„თბილისური მოხარშული" და „თბილისური ნახევრადშებოლილი". ახალი სახეობის ძეხვის საკაზმში ჩვეულებრივი სანელებლები შეცვლილია ადგილობრივი სურნელოვანი სანელებლებით — რეჰანით, კამით, ულუმბოთი და სხვ. ახალი ძეხვი, რომელსაც ჩინებული გემოვნებითი თვისებები აქვს, გვათავისუფლებს ძვირადღირებული საიმპორტო საკაზმების — ბაჰარის, პილპილის, ჯავზის გამოყენების აუცილებლობისაგან.

სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სპეციალისტებისა და დეგუსტატორების კომისიის მიერ ძეხვები „თბილისური მოხარშული" და „თბილისური ნახევრადშებოლილი" მიჩნეულია როგორც მაღალხარისხოვანი და შეტანილია ძეხვეულის ნაწარმის საკავშირო ნომენკლატურაში.

კომბინატმა უკვე გამოუშვა ერთნახევარ ტონაზე მეტი ახალი პროდუქცია. (საქდესი).

# ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

## ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ, ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

გერმანელი ხალხი მხურვალედ ესწრაფვის საზავო ხელშეკრულების დადებას, ერთიანი, დემოკრატიული, დამოუკიდებელი და მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნას. იგი გადაჭრით უარყოფს მილიტარისტულ „საერთო ხელშეკრულებას", რომელსაც მას თავს ახვევენ დასავლეთის სახელმწიფოები და ბონის „მთავრობა".

„საერთო ხელშეკრულების" აზრი და შინაარსი ის არის, რომ ხელი შეუშალოს გერმანიის მშვიდობიან გაერთიანებას, გადააქციოს მისი დასავლეთი ნაწილი ამერიკელი იმპერიალისტებისა და გერმანელი რევანშისტი მილიტარისტების აგრესიული საქმიანობის ასპარეზად. „საერთო ხელშეკრულება" ომის გზაა და არა მშვიდობისა. ეს უცილობელი ჭეშმარიტება სულ უფრო მკვიდრდება გერმანელი მოსახლეობის ფართო ფენების შეგნებაში. „ახლანდელ მდგომარეობაში ახალი მომენტი ის არის, — წერდა ამას წინათ ვილჰელმ პიკი, — რომ გერმანელი ხალხის ყველა ფენა მკვეთრად აკრიტიკებს ადენაუერის მთავრობისა და დასავლეთის სახელმწიფოთა უარყოფით დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირის წინადადებებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტის შესახებ".

ადენაუერი, რომელიც, ამერიკელი მონოპოლისტების ნებას ასრულებს, გაფაციცებით ცდილობს დაამთავროს „საერთო ხელშეკრულების" გაფორმება, რათა დასავლეთი გერმანია შეიყვანოს აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის სისტემაში.

მაგრამ ბონის „კანცლერის" გამცემლური პოლიტიკა აწყდება გერმანელი ხალხის მზარდ წინააღმდეგობას. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს მრავალი ფაქტი.

გერმანელთა ურთიერთგაგებისა და სამართლიანი საზავო ხელშეკრულებისათვის ჰამბურგში გამართული კონგრესი თავის მოწოდებაში აღნიშნავს:

„საერთო ხელშეკრულება" მილიტარისტული პაქტია. ჩვენ ყოველ ვითარებაში უნდა შევუშალოთ ხელი „საერთო ხელშეკრულების" ხელმოწერას. ჩვენ, გერმანელებს, „საერთო ხელშეკრულება" და ყველა მისი დამატებითი შეთანხმება გერმანელი ხალხის შემდგომ დამონებად მიგვაჩნია".

ქალაქ ლუბეკის ნავსადგურის მუშათა 250 რწმუნებულმა ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში მოითხოვა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება საბჭოთა კავშირის წინადადებათა საფუძველზე. ბრემერჰაფენში გამართულ მშვიდობის დაცვის ქალთა კონფერენციაზე, სადაც სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წევრები იყვნენ, ჩრდილო-დასავლეთ გერმანიის ყველა სანაპირო ქალაქიდან ჩამოსულმა ორასამდე დელეგატმა მოითხოვა—დაუყოვნებლივ დაიდოს საზავო ხელშეკრულება და ჩაიშალოს მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების" ხელმოწერა.

დასავლეთ გერმანიის მაღაროელთა პროფკავშირის დელეგატების საოლქო კონფერენციაზე კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ დასავლეთ გერმანიის მაღაროელებს, ისევე როგორც შტუტგარტის, მანჰაიმისა და ნიურნბერგის მელითონეებს, განზრახული აქვთ მასობრივი გაფიცვების გზით ხელი შეუშალონ „საერთო ხელშეკრულების" დადებას. ანალოგიური მოწოდება გამოაქვეყნეს რურის შახტების — „შამროკისა" და „კაროლინენგლუკის" მუშებმა. საყოველთაო გაფიცვების მოწყობისაკენ მოუწოდა მშრომელთ შახტ „რეკლინგჰაუზენის" (ქალაქი ესენი) საწარმოო საბჭომ. საბჭოს შემადგენლობაში არიან მაღაროელები — გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის, გერმანიის კომუნისტური პარტიის და ქრისტიან დემოკრატთა კავშირის წევრები.

ეს მოწმობს მშვიდობისა და დემოკრატიული გერმანიისათვის გერმანელი ხალხის ბრძოლის ახალი ეტაპის დამახასიათებელ თავისებურებას: ყველა მშვიდობისმოყვარე, პატრიოტულად განწყობილი გერმანელი, განურჩევლად მსოფლმხედველობისა სულ უფრო მჭიდროდ ირაზმება.

ამ ბრძოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობას. დასავლეთ გერმანიაში სულ უფრო ხშირი ხდება კომუნისტებისა და რიგითი სოციალ-დემოკრატების ერთობლივი მოქმედება, რომლებიც იბრძვიან ადენაუერის გამცემლური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ხალხის მასების ზეგავლენით სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ხელმძღვანელობა იძულებული გახდა გაეკეთებინა განცხადებანი რემილიტარიზაციის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ადენაუერი ახორციელებს. მაგრამ, როგორც გერმანელი ხალხისადმი თავის მიმართვაში სამართლიანად აღნიშნავს გერმანიის კომპარტია, მარტო ოპოზიციური სიტყვებით არ შეიძლება ხელი შევუშალოთ „საერთო ხელშეკრულების" ხელის მოწერას.

ოპოზიციური განწყობილება გავრცელდა ბონის პარლამენტის ბურჟუაზიული პარტიების ფრაქციათა წევრებს შორისაც. „თავისუფალი დემოკრატიული პარტიის" დეპუტატმა მაიერმა 2 მაისს ბონში განაცხადა, რომ „საერთო ხელშეკრულება" „არ ემსახურება გერმანიის ინტერესებს" და რომ მისი პარტია ხმას არ მისცემს ასეთი ხელშეკრულების რატიფიკაციას.

დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისადმი წინააღმდეგობის გაძლიერებას აღნიშნავს „ნიუ-იორკ ტაიმსიც", რომელიც წერს, ადენაუერმა „უკვე დაკარგა კონტროლი პარლამენტის ზედა პალატაში და მზარდ ოპოზიციას აწყდება არა მარტო მთავრობის კოალიციაში შემავალი პარტიების მხრივ, არამედ თავის საკუთარ პარტიაშიც კი".

განა ეს არ ცხადყოფს, რომ მერყევია ბონის რეჟიმი, რომელიც ცდილობს გათიშული დატოვოს გერმანია და გადააქციოს გერმანიის დასავლეთი ნაწილი ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა სამხედრო პლაცდარმად!

გერმანიის მოსახლეობის სულ უფრო ფართო წრეები რწმუნდებიან, რომ აგრესიული „საერთო ხელშეკრულება" ხელისშემშლელია, სერიოზული დაბრკოლებაა მშვიდობის გზაზე, და საჭიროდ მიაჩნიათ შეიქმნას მძლავრი მოძრაობა ახალი ომის მომზადების იმ პოლიტიკისადმი წინააღმდეგობისა, რომელსაც ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები და მათი ლაქია ადენაუერი ახორციელებენ.

## ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ-ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲐᲜᲘ

ამ ბოლო დროის ამბები მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის გამწვავდა ბრძოლა ხმელთაშუა ზღვის რაიონში, ახლო და შუა აღმოსავლეთში გაბატონებული მდგომარეობისათვის.

თავის ამასწინანდელ კომუნიკეში საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „ამ ბოლო დროს ათენი გახდა ცენტრი სამხედრო და პოლიტიკური მღელვარებისა, რომელიც ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს ამერიკა-ინგლისის წინააღმდეგობებს. ათენში ჩამოვიდა ჰალიფაქსი და მოელიან მონტგომერისა და მისი გერმანელი შტაბის უფროსის რობერტსონის ჩამოსვლას. ათენში ჩამოვლენ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე, რომელიც შუა აღმოსავლეთის საკითხებზე მუშაობს, და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსი. ამერიკისა და ინგლისის ფლოტები საბერძნეთის წყლებში არიან. უახლოეს ხანში ჩამოვლენ თურქეთის პრემიერ-მინისტრი, აგრეთვე ტიტოს წარმომადგენლები. ათენსა, ანკარასა და ტიტოს შორის სამხედრო კავშირის მასშტაბი ფართოვდება, ჩაღდება ბრძოლა ამერიკელ და ინგლისელ იმპერიალისტებს შორის".

ამ დიპლომატიური ფუსფუსის ერთ-ერთი რგოლი იყო საბერძნეთ-თურქეთის მოლაპარაკება, რომელიც 26-30 აპრილს მიმდინარეობდა. მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ გამოქვეყნებული ოფიციალური კომუნიკე ბუნდოვნად ლაპარაკობს „თვალსაზრისთა იგივეობაზე", „შეხედულებათა ერთიანობაზე" და სხვ. მაგრამ, როგორც გაზეთი „მახი" აღიარებს, ეს მაღალფარდოვანი სიტყვები მხოლოდ „საფარია სამხედრო მოლაპარაკებისა, რომელიც ატლანტიკის მოკავშირეთა მოთხოვნით წარმოებდა".

გასაგებია, რომ საბერძნეთ-თურქეთის მოლაპარაკება შემადგენელი ნაწილია უფრო დიდი დიპლომატიური თამაშისა, რომელსაც ვაშინგტონი და ლონდონი ეწევიან. ამასთან დაკავშირებით საჭიროა გავიხსენოთ ზოგიერთი ამბები, რომლებიც წინ უძღოდნენ ინგლისელი, ამერიკელი და სხვა გენერლებისა და დიპლომატების უკანასკნელ ვიზიტებს ათენში.

როგორც კი შუა აღმოსავლეთიდან წავიდა პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრი ზაფრულა-ხანი, რომლის მოგზაურობა, იტალიური გაზეთის „ავანტის" სიტყვით, „დიდმნიშვნელოვანი ელემენტი იყო ლონდონის დიპლომატიურ თამაშში", რომელიც კვლავ ცდილობს თავისი მფარველობით შეაკოწიწოს ბლოკი პირველ ხანებში თურქეთის, ერაყისა და ტრანსიორდანიის შემადგენლობით, იმავე რაიონში გამოჩნდა არტახო-ფრანკოს საგარეო საქმეთა მინისტრი. არტახომ აგრეთვე დიდი გულმოდგინება გამოიჩინა იმ საქმეში, რომ აგრესიულ ბლოკში ჩაბმულ იქნან არაბული აღმოსავლეთის ქვეყნები, მაგრამ უკვე ვაშინგტონის მფარველობით.

ინგლისური გაზეთი „სანდი ტაიმსი" ამის გამო წერდა: „უეჭველია, რომ ესპანეთის მისწრაფებანი შუა აღმოსავლეთში, ბოლოს, წააწყდება ინგლისის ინტერესებს და საფრთხეს წარმოადგენს აგრეთვე საფრანგეთის ინტერესებისათვის ჩრდილოეთ აფრიკაში".

იმის განხორციელებას, რაც არ დამთავრებულა საბერძნეთ-თურქეთის მოლაპარაკების დროს ათენში, ამერიკის დიპლომატია განაგრძობს მოლაპარაკების გარეშე. ლიბანის გაზეთ „ტელეგრაფის" ცნობით, 1 მაისს ლიბანის პრემიერ-მინისტრმა სამი სოლხმა მიიღო საბერძნეთის, ხოლო შემდეგ თურქეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ბეირუთში. საქმეს გაცნობილ წრეებში, გაზეთის აზრით, ამ დარბაზობას თვლიან შემდგომ ნაბიჯებად არტახოს „მისიის" განხორციელების საქმეში და აღნიშნავენ, რომ ამ შეხვედრების დროს განხილულ იქნა ამერიკის პროექტის საფუძველზე ხმელთაშუა ზღვის ბლოკის შექმნის საკითხი.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალისტთა კინკლაობა სხვა დარგშიც ხდება.

„დიპლომატიური თავაზიანობა უკუგდებულ იქნება!" ინგლისის გაზეთის „დეილი მეილის" ეს მუქარის რეპლიკა შეეხება ამერიკელი ადმირალის ფეჰტლერისა და ინგლისის შტაბების უფროსთა მოლაპარაკებას ხმელთაშუა ზღვის რაიონში აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდლის დანიშვნის შესახებ, რაც ლონდონში მოხდა.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო უწყება ძლიერ ზეგავლენას ახდენს ინგლისის მთავრობაზე და ცდილობს ევროპის სამხრეთ ზონაში ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის ამერიკელ ადმირალ კარნის გამგებლობაში გადასცეს ხმელთაშუა ზღვის მთელი რაიონი და მასთან ინგლისის ხმელთაშუა ზღვის ფლოტი.

პრესის ცნობებით, ინგლისის მთავრობამ ამერიკის წინადადება უარყო, და ფეჰტლერი ხელცარიელი დაბრუნდა ვაშინგტონს... საკითხის შემდგომი განხილვისათვის.

თუ ფეჰტლერი იტყვის, ხაზგასმით აღნიშნავს „დეილი მეილი", რომ „ინგლისელების გააფთრებას იწვევს აზრი ხმელთაშუა ზღვის რაიონში სარდლად ამერიკელის დანიშვნის შესახებ, ეს მართალი იქნება. ინგლისს ანგარიში არ გაუწევს ჯერ კიდევ მაშინ, როცა წყდებოდა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის შეიარაღებული ძალების სარდლობის საკითხი. ევროპა დაუქვემდებარეს ამერიკელი ჯარისკაცის სარდლობას, ხოლო ატლანტიკის ოკეანე — ამერიკელი მეზღვაურის სარდლობას...". „ჩვენ ზოგჯერ ვეკითხებით ჩვენს თავს, — მწარედ შენიშნავს გაზეთი,—ნეტავ რას ფიქრობენ ჩვენს შესახებ ამერიკელები? ბოლოს და ბოლოს ბრიტანეთის იმპერია ცენტრალური ამერიკის რომელიმე რესპუბლიკა ხომ არ არის. ბრიტანეთის იმპერია ნიკარაგუა როდია და უკეთესი მოპყრობის ღირსია".

გაზეთი „დეილი ექსპრესი" ფეჰტლერის წინადადებას უწოდებს კიდევ ერთ „არასასიამოვნო ამბს", ხოლო „დეილი მირორი" — „უკიდურესი უტაქტობის გამოვლინებას".

ასე მიმდინარეობს იმპერიალისტთა ფრონტის გარეგნული ერთიანობის ფასადსუკან აგრესიული ატლანტიკის ბლოკის პარტნიორთა შინაური ბრძოლა, რომელიც იწვევს ამერიკა-ინგლისის იმპერიალიზმის პოზიციების შესუსტებას.

**Გ. ᲐᲤᲝᲜᲘᲜᲘ**

# გენერალ ნამ ირის განცხადება

პეკინი, 11 მაისი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა გუშინ კესონიდან გადმოგვცა: კორეაში ამერიკის აგრესიული შეიარაღებული ძალების სარდალმა რიჯუეიმ გუშინ თავხედურად განაცხადა, რომ მისი სარდლობა გამოიყენებს „ყოველგვარ ძალას, რაც კი საჭირო იქნება“, რათა ჩაახშოს კორეელ და ჩინელ ტყვეთა სამართლიანი წინააღმდეგობა იმ ცდისადმი, რომ ძალად დააკავონ ისინი ეგრეთწოდებული „ნებაყოფლობითი რეპატრიაციის“ საბაბით. ამავე დროს ამერიკელებს ჯერაც არ მოუციათ რაიმე ნათელი პასუხი ჩვენი მხარის ტყვედ ჩავარდნილი პერსონალის მასობრივი მკვლელობის ორი სერიოზული შემთხვევის შესახებ — 18 თებერვალსა და 13 მარტს.

კორეაში დაზავებაზე მოლაპარაკების სრული შემადგენლობის დელეგაციების დღევანდელ სხდომაზე დელეგაციის მეთაურმა გენერალმა ნამ ირმა, კორეის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა სარდლის მითითებებით, სერიოზული გაფრთხილება მისცა ამერიკის მხარეს ამერიკელთა იმ მხეცური მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც აბსოლუტურად შეუწყნარებელია.

ნამ ირმა განაცხადა:

„ჩვენი მხარის სარდალმა დამავალა ვაცნობო თქვენს მხარეს, რომ ჩვენი მხარის პერსონალი, რომელიც თქვენ ხელთ იგდეთ და თქვენთან იმყოფება, მთელ რიგ იმ გეგმაშეწონილ ბარბაროსულ ღონისძიებათა ობიექტი გახდა, რომლებსაც თქვენი მხარე მიმართავს, რათა სისრულეში მოიყვანოს თავისი დაჟინებითი განზრახვა — ძალად დააკავოს თქვენ მიერ ტყვედ წაყვანილი ჩვენი პერსონალი. ეს დანაშაულობანი, რომლებსაც თქვენი მხარე სჩადის ეგრეთწოდებული „ნებაყოფლობითი რეპატრიაციის“ აზრით, მთლიანად არღვევს ჟენევის კონვენციის სამხედრო ტყვეთა შესახებ და ადამიანური საქციელის სრულიად ელემენტარულ წესებს. ტყვედ წაყვანილი ჩვენი პერსონალის წინააღმდეგობა იმ უკანონო და უსამართლო ღონისძიებებისადმი, რომლებსაც თქვენი მხარე ახორციელებს, სავსებით ბუნებრივია. თქვენმა არაერთგზისმა სისხლიანმა რეპრესიებმა ტყვედ წაყვანილი ჩვენი პერსონალის მიმართ ვერ შეარყია მისი ძლიერი სურვილი — რეპატრიირებულ იქნას. თქვენს მხარეს ჯერაც არ მოუცია ნათელი პასუხი ტყვედ წაყვანილი ჩვენი პერსონალის მასობრივი მოსპობის ორი საშინელი შემთხვევის — 18 თებერვლისა და 13 მარტის შემთხვევების შესახებ, ამასთან 9 მაისს თქვენი მხარის სარდალმა აშკარადაც კი განაცხადა, რომ თქვენი მხარე ამზადებს ჩვენი მხარის უმწეო ტყვე პერსონალის ახალ აწიოკებას. ეს ყოვლად შეუწყნარებელია. თქვენმა მხარემ მტკიცედ უნდა იცოდეს, რომ მის განკარგულებაში მყოფი სამხედრო ტყვეების დაცვა ორივე მხარის სარდალთა განუხრელი მოვალეობაა. თქვენს მხარეს უნდა დაეკისროს სრული და აბსოლუტური პასუხისმგებლობა ჩვენი მხარის ტყვე პერსონალის უშიშროებისათვის“.

# ამერიკის მონოპოლიების შეტევა მუშათა კლასის უფლებებზე

ნიუ-იორკი, 10 მაისი. (საკდესი). ამერიკის მონოპოლიებმა დაიწყეს გაძლიერებული შეტევა პროფკავშირულ მოძრაობაზე.

ასეთი შეტევის გაძლიერების უშუალო საბაბი გახდა უკმაყოფილების ზრდა მუშათა შორის, რომლებიც სტანჯავს „ეკონომიკის მობილიზაციის“ ეგრეთწოდებული პროგრამით მათთვის დაკისრებული სიმძიმე. ნავთის მრეწველობის 90.000 მუშის გაფიცვისა და მეტალურგიული მრეწველობის 650.000 მუშის მოსალოდნელი გაფიცვის გარდა, სერიოზული „შრომითი კონფლიქტები“ წარმოიშვა რკინის მადნისა და ალუმინის მრეწველობაში, რკინიგზებზე და ეკონომიკის სხვა დარგებში, ამასთან მთავრობის სხვადასხვა ორგანო ამჟამად ცდილობს ხელი შეუშალოს იმას, რომ ამ კონფლიქტებს გაფიცვები მოჰყვეს.

ყურადღების ღირსია პროგრამა, რომელიც მიიღო ამერიკის სავაჭრო პალატის ყოველწლიურმა კრებამ ვაშინგტონში 28-30 აპრილს. კრებაზე მიღებულმა პოლიტიკურმა დეკლარაციამ ცხადყო მონოპოლისტური კაპიტალის ამ წამყვანი ორგანოს მისწრაფება შეკვეცოს პროფკავშირთა უფლებანი და მნიშვნელოვნად გადააჭარბოს ტაფტ-ჰარტლის ყბადაღებულ კანონს გაფიცვის უფლების შეზღუდვაში.

„მრეწველობაში ურთიერთობის“ დარგში „ძირითადი პრინციპების“ გამო პალატის განცხადების პირველი პუნქტი ასეთია: „არასოდეს არ უნდა იქნას ნებადართული გაფიცვა, რომელიც საფრთხეს უქმნის პროდუქციის გამოშვებას ან სამსახურს, რომელსაც დამოკიდებულება აქვს უშიშროებასთან, ხალხის ჯანმრთელობის დაცვასა და კეთილდღეობასთან, სანამ არ იქნება მიღებული გაფრთხილების სათანადო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებასა და ქვეყანას ასეთი პროდუქციისა და სამსახურის ნაკლებობისაგან“.

რამდენადაც იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ რა შემთხვევაში ზიანდება უშიშროება და „ხალხის“ კეთილდღეობა, დამოკიდებული იქნება მონოპოლიების წარმომადგენლებზე მთავრობის სხვადასხვა ორგანოებსა და სასამართლოებში, სავსებით ცხადია, რომ ეს ფორმულა ფაქტიურად ნიშნავს ყველა გაფიცვის აკრძალვას.

პალატის მიერ გამოცხადებული მეორე „პრინციპი“ ის არის, რომ „არასოდეს არ უნდა იქნას ნებადართული ისეთი გაფიცვები, რომლებიც მიმართული იქნება ფედერალურ, ადგილობრივ ხელისუფალთა თუ შტატების ხელისუფალთა წინააღმდეგ“. მესამე „პრინციპი“ აცხადებს, რომ „სოლიდარობის ნიშნად გამოცხადებული გაფიცვები, გაფიცვები, რომლებიც არღვევენ კოლექტიური ხელშეკრულების პირობებს, და იურისდიქციასთან დაკავშირებული დავით გამოწვეული გაფიცვები კანონით აკრძალულ უნდა იქნას“.

წამოყენებულია კიდევ ერთი „პრინციპი“, რომლის მიზანი ის არის, რომ იურიდიული ხასიათის ყოველგვარი ხრიკით პროფკავშირებზე გავრცელდეს დასჯის ის ღონისძიებანი, რომლებიც გათვალისწინებულია ტრესტების საწინააღმდეგო კანონებით. ამ მიზნით ამტკიცებენ, რომ ეროვნული პროფკავშირები იწყნარებენ „მონოპოლისტურ პრაქტიკას“.

ამერიკის სავაჭრო პალატა აგრეთვე მოითხოვს, რომ აიძულონ პროფკავშირები და მათი წევრები „კანონით პასუხი აგონ იმ ზარალისათვის, რაც საკუთრებას მოუვა გაფიცვების შედეგად. უკანასკნელი დებულების თანახმად, მუშები, რომლებმაც გაფიცვა გამოაცხადეს ცხოვრების აუტანელი პირობების გამო, სანამ პროფკავშირის მიერ დადებული კოლექტიური ხელშეკრულება ჯერ კიდევ ძალაშია, შეიძლება სასამართლო პასუხისგებაში მისცეს მეწარმემ, რომელსაც გაფიცვის შედეგად რაიმე ზარალი მოუვა.

ამ შეტევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გახდა წარმომადგენელთა პალატაში სასტიკი ანტიპროფკავშირული კანონპროექტის შეტანა. ეს კანონპროექტი, რომელიც ამჟამად წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიამ უნდა განიხილოს, შეიტანა დემოკრატმა სმიტმა (ვირგინიის შტატიდან) — „აზრებისადმი კონტროლის შესახებ“ სმიტის იმ ყბადაღებული კანონის ავტორმა, რომლის საფუძველზეც საპყრობილეში ჩასვეს ამერიკის კომპარტიის ხელმძღვანელები.

კანონპროექტში აღნიშნულია, რომ „ქვეყანაში პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული საგანგებო წესების პერიოდის „განმავლობაში მთავრობა უნდა ეცადოს მიაღებინოს სასამართლო დადგენილება, რათა თავიდან აცილებულ იქნას ყოველი გაფიცვა, რომელსაც შეუძლია „ზიანი მიაყენოს ქვეყნის თავდაცვას“. ასეთი დადგენილება ძალაში უნდა დარჩეს 80 დღის განმავლობაში. თუ ამ პერიოდში პროფკავშირი და მეწარმე ვერ შეთანხმდებიან, სასამართლომ უნდა დანიშნოს რწმუნებულნი, რომლებიც აისრებენ კონტროლს პროფკავშირისადმი, აგრეთვე ქარხნისა თუ შახტისადმი, სადაც შეიძლება გაფიცვა დაიწყოს. რწმუნებულთა კონტროლის პერიოდის განმავლობაში გაფიცვები აგრეთვე აკრძალულ უნდა იქნას, ხოლო ხელფასი და შრომის პირობები უცვლელი უნდა დარჩეს.

სმიტის კანონპროექტის ძირითადი დებულებანი დაუყოვნებლივ მოიწონა თავდაცვის მინისტრმა ლოვეტმა, რომელმაც 7 მაისს სიტყვა წარმოთქვა წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიაში.

ლოვეტის მიერ ამ წინადადების მოწონება სავსებით ლოგიკური იყო, რადგან თავდაცვის მინისტრი არა მარტო სამხედრო მზადების პროგრამას განასახიერებს, არამედ უოლ-სტრიტის მესვეურთა ინტერესების გამომხატველიც არის. სანამ მთავრობის წევრი გახდებოდა, ლოვეტი იყო უოლ-სტრიტის ფინანსური ფირმის „ბრაუნ ბრაზერს ჰარიმან ენდ კომპანის“ პარტნიორი უშიშროების ურთიერთუზრუნველყოფის საკითხთა ტრუმენის სამმართველოს ხელმძღვანელ ავერელ ჰარიმანთან ერთად. პრესის ცნობები მოწმობენ, რომ კომისია აპირებს სმიტის კანონპროექტი სასწრაფოდ გადასცეს კონგრესს განსახილველად. მაგალითად, გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნელი“ იუწყება, რომ, კომისიის ზოგიერთი წევრის სიტყვით, კანონპროექტი წარმომადგენელთა პალატას განსახილველად გადაეცემა მომავალ კვირაში.

დაჟინებით მოითხოვენ რა, რაც შეიძლება მალე იქნას მიღებული სმიტის კანონპროექტი, რომელიც არარაობად გადააქცევს ასი წლის უსასტიკესი ბრძოლით მოპოვებულ ყველა პროფკავშირულ უფლებას, მონოპოლისტები მოითხოვენ აგრეთვე გადასინჯულ იქნას მთავრობის „ხელფასის სტაბილიზაციის საბჭოს“ სტატუსი. მთავრობის ეს საბჭო ამჟამად უფლებამოსილია ჩაერიოს კონფლიქტებში, რომლებიც წარმოიშვება მუშებსა და მეწარმეებს შორის ხელფასის გამო, და ურჩიოს მათი მოწესრიგების მეთოდები.

ამჟამად საბჭო შედგება მეწარმეთა 6 წარმომადგენლისაგან, პროფკავშირთა 6 წარმომადგენლისა და „საზოგადოებრიობის“ 6 წარმომადგენლისაგან.

გამოვიდა რა წარმომადგენელთა პალატის შრომის საკითხთა კომისიაში 6 მაისს, თავდაცვისათვის მობილიზაციის სამმართველოს ყოფილმა ხელმძღვანელმა ჩარლზ ვილსონმა კომისიას ურჩია წაართვას საბჭოს მუშებსა და მეწარმეთა შორის კონფლიქტების მოწესრიგების უფლება და შეცვალოს მისი შემადგენლობა ისე, რომ იგი შედგებოდეს მარტო „საზოგადოებრიობის“ წარმომადგენელთაგან. როცა კომისიის ერთ-ერთმა წევრმა ვილსონს ჰკითხა, ვის გულისხმობს იგი „საზოგადოებრიობის“ წარმომადგენელთა სახით, ვილსონმა უპასუხა: „მე მინდა იქ ვნახო ადამიანები, რომელთაც აქვთ საქმიანი ურთიერთობა, — საქმოსნები, ადვოკატები“.

პროფკავშირთა წინააღმდეგ შეტევაში მესამე მიმართულებას წარმოადგენს იმ კამპანიის აღორძინება, რომლის მიზანია პროფკავშირებს წაერთვათ ხელშეკრულების დადებისა და საერთო ეროვნული მასშტაბით გაფიცვების გამოცხადების უფლება.

აჩქარებენ რა ამ წინადადების მიღებას, მონოპოლისტები, რომლებსაც გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ ამერიკის ეკონომიურ ცხოვრებაში, გაჰკივიან, რომ ეროვნული პროფკავშირები წარმოადგენენ „მონოპოლიებს“ და რომ მეწარმეებთან საერთო ეროვნული მასშტაბით ხელშეკრულებათა დადებით პროფკავშირები „მონოპოლისტურ პრაქტიკას“ ახორციელებენ.

მაგალითად, 10 დღის წინათ ჩარლზ ვილსონმა, რომელიც მეთაურობს მორგანის მიერ კონტროლირებულ „ჯენერალ ელექტრიკ კომპანის“, სენატის ვალუტისა და ბანკების საკითხთა კომისიაში განაცხადა: ...„ჩვენ არა გვაქვს არავითარი კანონი, რომელიც სპობდეს მონოპოლიებს პროფკავშირებში. დადგა ასეთი კანონის მიღების დრო. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. თქვენ ვერასოდეს ვერ მოახერხებთ კონტროლი გაუწიოთ პროფკავშირულ მონოპოლიებს, თუ ბოლოს არ მოუღებთ მრეწველობის მთელი დარგის მუშათა სახელით კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებას. ეს შეიძლება მხოლოდ ამ გზით გაკეთდეს. მე შეუწყნარებლად მიმაჩნია, რომ ერთი პროფკავშირი, რომელსაც ერთი კაცი მეთაურობს, ეწეოდეს მოლაპარაკებას მრეწველობის ერთი დარგის ყველა მუშის სახელით“.

აღნიშნავენ რა, რომ ვილსონის განცხადება ერთეული არ ყოფილა, „უოლ-სტრიტ ჯორნელმა“, „ნიუს უიკმა“ და უოლ-სტრიტის სხვა ორგანოებმა ამას წინათ ანალოგიური მოთხოვნა წამოაყენეს.

მეტად საეჭვოა, რომ მომავალი არჩევნების გამო წელს მიღებულ იქნას ვილსონის წინადადებანი, სმიტის კანონპროექტი და სხვა რეკომენდაციები, რომლებსაც სავაჭრო პალატის დეკლარაცია შეიცავს. მიუხედავად ამისა ისინი ცხადყოფენ შეერთებულ შტატებში მონოპოლისტური კაპიტალისა და მუშათა კლასის ელემენტარულ უფლებებზე შეტევის მისი პროგრამის ზრახვებს.

# კორეის ამბები

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 10 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ, ამასთან დიდ ზარალს აყენებდნენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

გუშინ სახალხო არმიის ნაწილები ინჩხონის, ჩხოლვონის რაიონებში და კიმხონის სამხრეთით მდებარე რაიონში იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს. ამერიკელთა საზღვაო ქვეითი ჯარის 1-ლი დივიზიის, 45-ე და მე-40 დივიზიების და ინგლისელთა 1-ლი დივიზიის ქვედანაყოფებმა ავიაციისა და არტილერიის დახმარებით რამდენიმე იერიში მიიტანეს სახალხო არმიის პოზიციებზე, მაგრამ ზარალი ნახეს და უკუქცეულ იქნენ.

სახალხო არმიის საზენიტო არტილერიის ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 3 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ზურგის რაიონებზე თავდასხმებში.

ფხენიანი, 11 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ ყველა ფრონტზე სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს და მნიშვნელოვან ზარალს აყენებენ მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დასავლეთისა და ცენტრალურ ფრონტებზე მოწინააღმდეგემ რამდენიმე იერიში მოიტანა სახალხო არმიის პოზიციებზე, მაგრამ ზარალი ნახა და უკუქცეულ იქნა.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 7 თვითმფრინავი.

# მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 10 მაისი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან გადმოგვცემს:

9 მაისს კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების სრული შემადგენლობის დელეგაციათა სხდომაზე კორეისა და ჩინეთის მხარის დელეგატმა კვლავ დაგმო ჟენევის კონვენციისა და საერთაშორისო სამართლის სრული დარღვევა ამერიკის მხარის მიერ, რომელიც ცდილობს „ნებაყოფლობითი რეპატრიაციის“ საბაბით დააკავოს კორეისა და ჩინეთის მხარის ტყვედ წაყვანილი მრავალი სამხედრო მოსამსახურე.

კორეისა და ჩინეთის დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა, რომ „ნებაყოფლობითი რეპატრიაციის“ პრინციპი სრულიად უსაფუძვლოა. ამერიკელებმა უსიტყვოდ უნდა მოახდინონ ტყვედ წაყვანილი ყველა ჩვენი სამხედრო მოსამსახურის რეპატრიაცია. მათ არავითარი ნება არა აქვთ დააკავონ სამხედრო ტყვეები რაიმე საბაბით. მან თქვა, რომ სამხედრო მოსამსახურეთა „გადარჩევა“ შეუწყნარებელია.

შემდეგ მან განაცხადა, სამხედრო ტყვეთა ამერიკის ბანაკებში განუწყვეტელი სისხლისმღვრელი ინციდენტები სავსებით ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ „გადარჩევა“, რასაც ამერიკელები ეწევიან, მხოლოდ ფანდია, რომლითაც ამერიკელები ცდილობენ ძალით დააკავონ კორეისა და ჩინეთის მხარის ტყვედ წაყვანილი სამხედრო მოსამსახურეები. გმირული წინააღმდეგობა, რასაც ტყვედ ჩავარდნილი ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები სისხლისმღვრელ რეპრესიებს უწევენ, სავსებით აშკარავებს ამერიკელთა ურცხვ პროპაგანდას, რომელსაც ისინი ეწევიან სამხედრო ტყვეებისათვის ცილის დაწამების მიზნით. თუ ამერიკელებმა ხელი არ აიღეს თავიანთ თავხედურ ცდაზე—ძალით დააკავონ ტყვედ წაყვანილი ჩვენი მრავალი სამხედრო მოსამსახურე, მოლაპარაკების პროგრესი შეუძლებელი იქნება.

კორეისა და ჩინეთის მხარემ კვლავ შეიტანა წინადადება, რომ ამერიკელებმა გადასინჯონ თავიანთი პოზიცია და მიიღონ კორეისა და ჩინეთის მხარის მიერ 2 მაისს წარდგენილი სამართლიანი კომპრომისული წინადადება.

# ფულის რეფორმა, საბარათო სისტემის გაუქმება და საცალო ფასების შემცირება ბულგარეთში

სოფია, 11 მაისი. (საკდესი). დღეს გამოქვეყნდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ფულის რეფორმის განხორციელების, სასურსათო საქონლის საბარათო სისტემის გაუქმებისა და სახელმწიფო საცალო ფასების შემცირების შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „ამ უკანასკნელ წლებში სახალხო მეურნეობის წარმატებით განვითარება, ბულგარეთში სამრეწველო წარმოების უმაგალითო ზრდა, შრომის ნაყოფიერების გადიდება, წარმატებანი სოფლის მეურნეობის განვითარებასა და გარდაქმნაში, მარცვლეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების შესყიდვის გეგმის შესრულება— ყოველივე ეს პარტიასა და მთავრობას შესაძლებლობას აძლევს გააუქმონ საბარათო სისტემა და მოსპონ დღემდე არსებული სხვადასხვა ფასები, რათა მოხდეს ერთიანი საცალო ფასებით ყველა საქონლის გაშლილ ვაჭრობაზე გადასვლა.

ფულის რეფორმა უზრუნველყოფს ლევის მყიდველობითი უნარის გადიდებას, ლევის სავალუტო კურსის განმტკიცებას მსოფლიოში ყველაზე მყარი ვალუტის — საბჭოთა მანეთის ბაზაზე. საბჭოთა მანეთის ბაზაზე ლევის კურსის დაწესება იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ეროვნული ვალუტა მოსწყდა დოლარს, რომელიც, ისევე როგორც ყველა კაპიტალისტური ქვეყნის ვალუტა, კრიზისსა და მუდმივ გაუფასურებას განიცდის“.

ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად 1952 წლის 12 მაისიდან გამოშვებულია მიმოქცევაში 1951 წლის ნიმუშის ახალი ფული, სახელდობრ: ბულგარეთის სახალხო ბანკის ბილეთები 10, 25, 50, 100, 200 და 500 ლევის ღირსებისა; სახელმწიფო სახაზინო ბილეთები 1, 3 და 5 ლევის ღირსებისა; ხურდა ფული 1, 3, 5, 10 და 25 სტოტინკის ღირსებისა.

ლევის კურსი საბჭოთა მანეთთან შედარებით წესდება შემდეგი თანაფარდობით: 1 ლევი და 70 სტოტინკა 1 მანეთში.

ამასთან დაკავშირებით წესდება, რომ ლევი შეიცავს 0,130.687 გრამ ხალას ოქროს.

ფულის გადაცვლა უნდა მოხდეს 4 დღეში—1952 წლის 12-დან 15 მაისამდე ჩათვლით. ამჟამად მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული ახალ ფულზე გადაიცვლება თანხის შეუზღუდავად შემდეგი თანაფარდობით: 100 ძველი ლევი 1 ახალ ლევში. ხელფასი და შრომისა და მომსახურების სხვა სახის გასამრჯელო, პენსია, სტიპენდია და სხვა ასეთი დახმარება, ისევე როგორც ამ დადგენილებით გათვალისწინებული ხელფასის გადიდება, აგრეთვე ყველა ფასი და ტარიფი 1952 წლის 12 მაისიდან გადაფასდება შემდეგი თანაფარდობით: 100 ძველი ლევი 4 ახალ ლევზე.

ფულის რეფორმის განხორციელებასთან ერთად გადაფასდება მოსახლეობის ანაბრები და მიმდინარე ანგარიშები შემნახველ სალაროებში, კერძო სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა ფულადი სახსრები, რომლებიც ინახება საკრედიტო დაწესებულებებში, ნაციონალიზაციის პერიოდში ბლოკირებული ანგარიშები და სხვ.

ფულის რეფორმასთან ერთად ხდება წინათ გამოშვებული ყველა სახელმწიფო სესხის კონვერსია.

1952 წლის 12 მაისიდან უქმდება პურის, ფქვილის, ვერმიშელის, მაკარონის, ბრინჯის, მცენარეული ზეთისა და ცხიმეულის, ხორცის, თევზისა და სხვ. ბარათები. ეს საქონელი გაიყიდება ერთიან სახელმწიფო საცალო ფასებში. ამით სავსებით ისპობა საბარათო სისტემა და ხორციელდება ყველა საქონლის გაშლილი ვაჭრობა.

წესდება სასურსათო საქონლის ერთიანი სახელმწიფო საცალო ფასები, ამასთან ამ საქონლის კომერციული ფასები მცირდება 6-დან 50-მდე პროცენტით, მათ შორის პურისა — 35 პროცენტით, ბრინჯისა—50 პროცენტით, მცენარეული ზეთისა—38 პროცენტით და სხვ. სამრეწველო საქონლის ფასები მცირდება 5-დან 20-მდე პროცენტით.

სასურსათო საქონლის საბარათო სისტემის გაუქმებასთან ერთად 10 მაისიდან დიდდება მუშა-მოსამსახურეთა თვიური ხელფასი 1300-დან 2400 ლევის ოდენობით (ძველი ფულის ნიშნებით). დიდდება აგრეთვე პენსიები და მოსწავლეთა სტიპენდიები.

# მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების“ წინააღმდეგ!

## დასავლეთ გერმანიის ახალგაზრდობის დემონსტრაცია ესენში

ბერლინი, 12 მაისი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გუშინ დასავლეთ გერმანიის ახალგაზრდობამ გადაწყვიტა მოეწყო ქალაქ ესენში საპროტესტო შეკრება ბონის მთავრობის ანტიეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ, „საერთო ხელშეკრულების“ დადების წინააღმდეგ, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისა და გერმანიის ერთიანი მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული სახელმწიფოს უსწრაფესი შექმნისათვის. შეკრებაში მონაწილეობა უნდა მიეღო დასავლეთ გერმანიის ახალგაზრდობის სულ სხვადასხვა ორგანიზაციების მრავალ წარმომადგენელს.

ბონის ხელისუფლებმა აკრძალეს შეკრების მოწყობა. მიუხედავად ამისა, დასავლეთ გერმანიის ყველა ნაწილიდან 20 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი გაემართა ესენისაკენ, რათა ცხადეყო თავისი ურყევი ნება — იბრძოლოს მშვიდობის შენარჩუნებისა და თავისი ქვეყნის ერთიანობის აღდგენისათვის.

უიარაღო ახალგაზრდობის წინააღმდეგ ბონის ხელისუფლებმა ბოჰუმიდან, დორტმუნდიდან, დიუსელდორფიდან, მიუნსტერიდან და მთელ რიგ სხვა ქალაქებიდან გაგზავნეს ათასობით პოლიციელი, რომლებსაც უბრძანეს ყოველგვარი საშუალება გამოეყენებინათ ახალგაზრდათა დემონსტრაციის გასარეკავად.

სააგენტო აღნიშნავს, რომ, როცა ესენ-რიუტენშაიდტში 10 ათასზე მეტმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა დაიწყო დემონსტრაცია „საერთო ხელშეკრულების“ წინააღმდეგ, მშვიდობისა და გერმანიის ერთიანობისათვის ბრძოლის ლოზუნგებით. პოლიციამ სროლა აუტეხა უიარაღო დემონსტრანტებს. შედეგად ერთი მიუნსტერელი ჭაბუკი მოკლულ იქნა და მრავალი დაიჭრა. პოლიციამ დააპატიმრა 100-ზე მეტი დემონსტრანტი.

დასავლეთ გერმანიის ახალგაზრდობის დემონსტრაცია ესენში მიმდინარეობდა ლოზუნგებით: „არა გვსურს ამერიკის იარაღი, ჩვენ გვინდა ვაშენოთ მშვიდობისათვის!“, „არა გვსურს „საერთო ხელშეკრულება“!“, „არა გვსურს გაწვევა დაქირავებულ არმიაში!“, „ჩვენ გვინდა საზავო ხელშეკრულების დადება!“.

# ტორონტოში გაიხსნა მშვიდობის სრულიად კანადის კონფერენცია

ტორონტო, 10 მაისი. (საკდესი). 10 მაისს ტორონტოში გაიხსნა სრულიად კანადის მშვიდობის, შეიარაღების შემცირებისა და სავაჭრო ურთიერთობის განვითარების კონფერენცია, კონფერენციაში მონაწილეობას იღებს კანადის სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და ეროვნული ჯგუფების 3 ათასამდე წარმომადგენელი.

კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა მშვიდობის დაცვის კანადის კონგრესის თავმჯდომარემ ჯეიმს ენდიკოტმა.

# თურქი გლეხების გაჭირვებული მდგომარეობა

სოფია, 10 მაისი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს:

თურქ გლეხთა გაჭირვებულ მდგომარეობას აღიარებს თურქეთის პრესა. თურქული გაზეთი „ულუსი“ წერს, რომ მალატიის ვილაიეთში სოფლის მოსახლეობის მხოლოდ ათ პროცენტს შეუძლია უზრუნველყოს თავისი არსებობა სოფლის მეურნეობით.

„გლეხები,—წერს გაზეთი, — დიდ გაჭირვებაში ცხოვრობენ, ხოლო ამ ბოლო ხანს სიღატაკემ კიდევ უფრო იმატა“. შემდეგ გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, გლეხები, შიმშილით რომ არ დაიხოცონ, იძულებული არიან მიატოვონ თავიანთი სოფლები და ოჯახები და სტამბოლსა და ადანაში ეძებონ სამუშაო.

გაზეთ „ულუსს“ მოჰყავს მთელი რიგი მაგალითები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ თურქეთის სხვა რაიონების თურქი გლეხების მდგომარეობა არაფრით არ არის მალატიის ვილაიეთის გლეხთა მდგომარეობაზე უკეთესი.

## ნეკროლოგი

# დავით კაკაბაძე

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი მხატვარი დავით ნესტორის-ძე კაკაბაძე.

დ. ნ. კაკაბაძე დაიბადა 1889 წელს, სოფელ კუხში. ქუთაისში საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1909 წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. ახალგაზრდა მხატვარი ერთდროულად მეცადინეობდა დიმიტრევ-კავკასკის სამხატვრო სახელოსნოშიც.

პეტერბურგში კაკაბაძემ დაჰყო 1918 წლამდე. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მან შექმნა მრავალი შესანიშნავი პორტრეტი და პეიზაჟი. ამავე დროს კაკაბაძე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ათავსებდა წერილებს სახვითი ხელოვნების საკითხებზე.

1919 წელს დ. კაკაბაძე პარიზს გაემგზავრა. საზღვარგარეთ გატარებულმა წლებმა მხატვარი ააცდინეს სწორად აღებულ გზას. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩვენი ქვეყნის დიადმა სოციალისტურმა მშენებლობამ მხატვრის შემოქმედება შემოაბრუნა ჩვენი სინამდვილის რეალისტური ასახვისაკენ. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა მის უკანასკნელ ნამუშევრებში „ფოთი—ელევატორი“ და აკვარელების სერიაში „თბილისი და მისი მიდამოები“.

1928 წელს დ. კაკაბაძე მიიწვიეს თბილისის სამხატვრო აკადემიაში ხატვისა და ფერწერის მასწავლებლად. მისი ხელმძღვანელობით არა ერთი საბჭოთა ნიჭიერი მხატვარი აღიზარდა.

დ. კაკაბაძე აკადემიაში რამდენიმე წლის მანძილზე მუშაობდა სასწავლო ნაწილის გამგედ, ხელმძღვანელობდა აგრეთვე თეატრალურ-დეკორაციულ სახელოსნოს.

დ. კაკაბაძეს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის საბჭოთა ქართული თეატრის აღორძინებისა და განვითარების საქმეში. მან მუშაობა პირველად დაიწყო ცნობილი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით და რამდენიმე დადგმა მაღალმხატვრულად გააფორმა. დ. კაკაბაძე წარმატებით მუშაობდა აგრეთვე კინო-სურათების მხატვრული გაფორმებისათვის.

დ. კაკაბაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულში.

**ამხანაგების ჯგუფი**

# დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

**პირველი გვერდი** — მოწინავე — ახალგაზრდობის აღზრდა — მნიშვნელოვანი პარტიული საქმეა.

საერთო სათაურით „კომუნიზმის დიად მშენებლობებზე“ წერილები: საქართველოს მეცნიერები — თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლებს. ახალ კახოვკაში.

საკავშირო ინფორმაციები. საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

თბილისში ჩამოვიდა საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირის“ დელეგაცია.

**მეორე გვერდი** — „პრავდის“ 11-V მოწინავე — გერმანიის და მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებისათვის.

ვ. ოშეიკო — ვოლგის წყლის გზა. მინდვრებსა და პლანტაციებში.

დ. ნიკოლაიშვილი — დავამყაროთ წესრიგი სასოფლო და საკოლმეურნეო მშენებლობაში.

ეკონომიურ თემაზე — კ. იმნაძე — ცენტრალიზებული გადაზიდვა. ვ. გრიგორიევი—ფეიქართა რეზერვები. გ. მელქუმოვი — ბანკები და მშენებლობანი.

**მესამე გვერდი** — მკითხველთა წერილები.

რ. ჯაფარიძე — არჩილ ნავაძე (ნაწყვეტი რომანიდან „ხევის პატარძალი“).

საზეიმო სხდომა ბუქარესტში, მიძღვნილი რუმინეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების 75-ე წლისთავისადმი.

**მეოთხე გვერდი** — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
**ი. ნატროშვილი**

## საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

**რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით**

**14 მაისს**

06.25—ნოვიკოვის და კაცის სიმღერები; 07.30—რუს კომპოზიტორთა უვერტიურები და საცეკვაოები; 09.20—საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები; 11.00—კონცერტი სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების შემსრულებელთა მონაწილეობით; 17.15 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის; 17.45 — გადაცემა მოსწავლეთათვის — კონცერტი-ლექცია გლინკას ნაწარმოებებიდან; 18.20 — ქართული ხალხური სიმღერები; 19.15 — კამერული მუსიკის კონცერტი; 19.45—გაზეთ „სახალხო განათლების“ მიმოხილვა.

**რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით**

20.30—რადიოსადგურებით გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; ქალაქის ქსელით კონცერტი ახალგაზრდა შემსრულებელთა მონაწილეობით; 20.45—საქართველოს რადიოკომიტეტის გუნდის კონცერტი; 21.00—კონსულტაცია კადრების ეკონომიური თვითგანვითარების დასახმარებლად: „პროდუქციის თვითღირებულება და მისი სისტემატური შემცირებისათვის ბრძოლა. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზები“; 22.30 — ლიტერატურული გადაცემა — ტიხონოვის ლექსები; 22.50—ჩაიკოვსკის სიმფონიური ნაწარმოებები; 00.05—დუეტი ვაგნერის ოპერა „ლოენგრინიდან“.

# დღეს თეატრებში

**რუსთაველის სახელობის** — ნ. ბარათაშვილი; **გრიბოედოვის სახელობის** — ოცდაათი ვერცხლი (42-ე, 43-ე აბ.); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ზამთრის ზღაპარი (10 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — კომბლე (10 და 3 ს.); **თოჯინების ქართული** — ბებია დარეჯანის ზღაპრები (11½ ს.), ნანა ტყეში (1 ს.).

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1952-53 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე: ფილოსოფია, რუსული ენა, რუსული ლიტერატურა, ინგლისური ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა, ქართული ენა, ქართული ლიტერატურა, ზოგადი ენათმეცნიერება, კავკასიური ენები, ირანული ფილოლოგია, სსრ კავშირის ხალხთა ისტორია, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია, აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია, საქართველოს ისტორია, მათემატიკა, თეორიული მექანიკა, მათემატიკური ფიზიკა, თეორიული ფიზიკა, ექსპერიმენტული ფიზიკა, მოლეკულური და სითბური მოვლენები, ეკონომიური გეოგრაფია, გეომორფოლოგია, პეტროგრაფია, ბოტანიკა, უხერხემლოთა ზოოლოგია, პოლიტიკური ეკონომია, სამოქალაქო სამართლის პროცესი.

გარდა ამისა, მიღება წარმოებს დაუსწრებელ ასპირანტურაში შემდეგ სპეციალობებზე: ეკონომიური გეოგრაფია, კლიმატოლოგია, ფიზიკური ქიმია და არაორგანული ქიმია.

ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები არა უმეტეს 40 წლის ასაკისა, დაუსწრებელ ასპირანტურაში მისაღების ასაკი შეზღუდული არ არის. ასპირანტურაში შემსვლელი გამოცდებს აბარებს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, სპეციალურ დისციპლინაში, რუსულ ენაში და ერთ-ერთ უცხო ენაში.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე შემდეგი საბუთებით: 1. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 2. ვრცელი ავტობიოგრაფია, 3. დიპლომი (დანართით), 4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 5. სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების საბუთი, 6. ვრცელი დახასიათება მუშაობის ადგილიდან სტაჟის ჩვენებით, 7. თუ აქვს მეცნიერული შრომები, მათი სია, 8. მეცნიერული შრომა ან რეფერატი სპეციალურ საგანში და 9. ორი ფოტოსურათი.

განცხადება მიიღება 25 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები დაიწყება სექტემბრის პირველ რიცხვებში.

ცნობებისათვის მიმართეთ უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილს (თბილისი, უნივერსიტეტის ქ., № 1).

მოქალაქე **თევდორე ფილიპეს-ძე მიხაილენკომ**, მცხოვრებმა ნავთლუღის დასახლება № ..4, აღძრა საქმე შაუმიანის ქ. № 88 მცხოვრებ მოქალაქე **მარიამ ფილიპეს ასულ მიხაილენკოსთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **გიორგი ალექსის-ძე ლოქაფიშვილმა**, მცხოვრებმა დუშეთის ქ. № 17, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ზინა ლუკას ასულ ლოქაფიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

თბილისის ვაკის მე-2 საშუალო სკოლის თანამშრომლები იუწყებიან **ნონა ივანეს ასულ ყიფშიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-V, ქვიათურაში. გამოსვენება წერეთლის, 1.

თბილისის მოლოტოვის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატები და თანამშრომლები იუწყებიან ადვოკატ **ივანე ტიმოთეს-ძე პოლუმორდვინოვის** გარდაცვალებას.

თბილისის მასწავლებელთა ცენტრალურ სახლთან არსებული ლიტერატურული წრის წევრები იუწყებიან მხცოვან მწერლისა და საზოგადო მოღვაწის **იოსებ იმედაშვილის** გარდაცვალებას.

შვილები გიორგი, ბენიამინ ქანთარიები ოჯახებით იუწყებიან **ფარნაოზ თეიმურაზის-ძე ქანთარიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-V, ნაფალაურში (სამტრედიის რაიონი).

მეუღლე ბორის, შვილი დიმიტრი, რძალი ზოია, შვილიშვილები ნათელა, ვლადიმერ ლოლობერიძეები იუწყებიან **ნადეჟდა ვალენტინის ასულ ლოლობერიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-V, 8 ს. გამოსვენება 15-V, 6 ს. ა. წერეთლის, 3/5.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი იუწყება მხატვარ-პროფესორ **დავით ნესტორის-ძე კაკაბაძის** გარდაცვალებას.

თბილისის მეორე სამშობიარო სახლის თანამშრომლები იუწყებიან **ნადეჟდა ვალენტინის ასულ ლოლობერიძის** გარდაცვალებას.

ძმები სარგის, არტემ, რძლები მარიამ, ოლია, ძმისწულები საურმაგ, ლია, სიძე ე. კალანდაძე იუწყებიან პროფესორ **დავით ნესტორის-ძე კაკაბაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 13-V, 5½ ს. ხელოვნების მუშაკთა სახლიდან, მახარაძის, 8.

ძმისწულები ნიკოლოზ, რუსუდან, ვლადიმერ, ეკატერინე, თამარ, ნადია ჰუჰულაშვილები შვილებით იუწყებიან დამსახურებული მასწავლებლის **მარიამ ზაქარიას ასულ ჰუჰულაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-V, 5 ს. ჯუგაანში (სიღნაღის რაიონი).

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტო ტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00298